ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 174 (20920) ◆ კვირა, 29 ივლისი, 1990 წელი. ◆ ფასი 5 კაპ.

მკითხველს ვთავაზობთ

„ფანტასტიკური კანონი“ ანუ საქართველოს პარლამენტის ერთსულოვანი ვერდიქტი შეუქცევადი აქტია.
მრავალ საფიქრალსა და საზრუნავს გაუსგრძეგანებს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტების ნერილი „ლენტეხი — ჩვენი საერთო სატკივარი“.
„ვინ გამოკუებავს ქვეყანას“.

2 გვერდი

გთავაზობთ მეორე ნაწილს გიორგი გაჩეჩილაძის „ამერიკული დღიურიდან“.
„სხვის უბედურებაზე შენი ბედნიერება არ აიგება“ — ამბობს ჩვენი კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ახალი რედაქტორი ლეონიდე პრონდანჩუკი.
მთავრდება ილია ტაბაღუას „ფიურერის უკანასკნელი დღეები“.

3 გვერდი

„ეფიქრობ, ვიღაცამ პროვოკაცია მოეწყო“... თავს იმართლებს დაბნეული გენერალ-მაიორი.
„იონ ილიესკუ: დისიდენტი, თუ“...

4 გვერდი

მორიგი სიხარული, მორიგი თეატრის დაბადება!.. „ოქროს სანმისი“ ამიერიდან ერის უკეთილშობილეს მიზნებს უერთგულებს.
აქვე გაეცნობით გიორგი წერეთლის ახალ ლექსებს.

5 გვერდი

როგორ „ალამაზებენ და აკოხტავებენ“ მწარე სიმართლეს ჟურნალ „ნედელიას“ ფურცლებზე?

6 გვერდი



მისი ოპტიკური ძალა. ეს კი ნაშუალებას იძლევა ეფექტიანი ზემოქმედება მოვახდინოთ სიბეცესა და შორსმხედველობაზე. ხურათზე აღბეჭდილია ოპერაციის მიმდინარეობა თვალის ხნეულებათა ცენტრში.

...საქართველოს კურორტებზე ჩვეულებრივ ბევრი დამსვენებელია წლეულსაც. აქ ჩამოდიან ხაბეოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და დასვენების შემდეგ ჯანგამაგრებულები ბრუნდებიან უკან. ფოტოზე აღბეჭდილია დამსვენებლები ხიხუმის ხაზღვაო ხადგურის ახლოს.

...ახლო ხურათს თბილისშიც და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც წაიწყდებით. არ არის ბენზინი და არც თხელდება მანქანების რიგი ავტოგასაწყობ პუნქტებთან...

ვარლამ გენგიურის, ჯავარ ლომაძის („კომუნისტი“), ვლადიმერ ვალიშვილის, ირაკლი ჭოხონელიძის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) ფოტოები.

ერთი კვირა ფოტოსურათებში

რობორც ყოველთვის, ჩვენს ფოტორეპორტაჟში რესპუბლიკის ყოველდღიური ცხოვრების ცალკეული ფაქტები აღბეჭდილი.



... დასასრულს უახლოვდება თავგადასავლიანი კულტურების მოხაკლის აღება ხიდნაღის რაიონში, აქაური მხვნელ-მთესველები პურეულის უხვ მოსავალს ამკიან. მოწინავეთა შორის არიან სოფელ ზემო ნუკრიანის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ფ. ნატროშვილი) შემინდვრეები. აქ ჭერი 260 ჰექტარზე, ხოლო ხორბალი 800 ჰექტარზე ითესათ. შეკანიზატორ კიტესა მაზიაშვილის ხაიკარო რგოლი არსენ მაზიაშვილის, მალხაზ ქუფარაშვილის, ნოდარ კრაწაშვილის, ვაჟა ფირაშვილის, გია კოკლამაზაშვილისა და სულიკო შალვაშვილის შემადგენლობით ახლა ყოველდღიურად 7-8 ჰექტარზე იღებს ხორბალს. ხაჰექტარო მაჩვენებელი 35-37 ცენტნერს აღწევს, გეგმიური 26 ცენტნერის ნაცვლად. ფოტოზე ხედავთ ნუკრიანელთა ხავერე კალოს.

... ორი ხამახსოვრო თარიღი აღნიშნა გ. ა. ტარხაიძის ხახელობის თვალის ხნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს რადიალური კერატოტომიის ცენტრის კოლექტივმა: შექმნის უთი წლისთავი და ხიბეცის აღმოფხვრის მეხუთეათასე წარმატებული ოპერაცია. ეს ნიშნავს, რომ ყველა ამ პაციენტს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ათვალით ხარგებლობდნენ, ამიერიდან აღარ დასჭირდებათ იგი. სტატისტიკა მოწმობს, რომ დღეს მსოფლიოში დაახლოებით 900 მილიონ კაცს აწუხებს ეგრეთ წოდებული „პროგრესი“ ხენი. ამაზე გავლენას ახდენს მხედველობითი ინფორმაციის მზარდი ნაკადი — წიგნები, პრესა, კინო, ტელევიზია. სსრ კავშირში, მაგალითად, ხიბეცე აწუხებს ყოველ მეხუთე მოსწავლეს. — სიტუაცია მძიმეა, მაგრამ უიმედო არ არის, — მიაჩნია ცენტრის ხელმძღვანელს, დოცენტ გიგი თოფურიას. — მდგომარეობიდან გამოსავალ გზად მიიჩნია ოფთალმოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და პრაქტიკის ფართოდ გამოყენება. უკვე დღეს, გარკვეულად ვმოქმედებთ რა თვალის რქოვანა გარსზე, შეგვიძლია საჭირო მიმართულებით შევცვალოთ

ბის თვალის ხნეულებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს რადიალური კერატოტომიის ცენტრის კოლექტივმა: შექმნის უთი წლისთავი და ხიბეცის აღმოფხვრის მეხუთეათასე წარმატებული ოპერაცია. ეს ნიშნავს, რომ ყველა ამ პაციენტს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ათვალით ხარგებლობდნენ, ამიერიდან აღარ დასჭირდებათ იგი. სტატისტიკა მოწმობს, რომ დღეს მსოფლიოში დაახლოებით 900 მილიონ კაცს აწუხებს ეგრეთ წოდებული „პროგრესი“ ხენი. ამაზე გავლენას ახდენს მხედველობითი ინფორმაციის მზარდი ნაკადი — წიგნები, პრესა, კინო, ტელევიზია. სსრ კავშირში, მაგალითად, ხიბეცე აწუხებს ყოველ მეხუთე მოსწავლეს. — სიტუაცია მძიმეა, მაგრამ უიმედო არ არის, — მიაჩნია ცენტრის ხელმძღვანელს, დოცენტ გიგი თოფურიას. — მდგომარეობიდან გამოსავალ გზად მიიჩნია ოფთალმოლოგიური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევებისა და პრაქტიკის ფართოდ გამოყენება. უკვე დღეს, გარკვეულად ვმოქმედებთ რა თვალის რქოვანა გარსზე, შეგვიძლია საჭირო მიმართულებით შევცვალოთ



გაეროვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა

„სსრ კავშირის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების შექმნის აკრძალვისა და უკანონო შენაბვის შემთხვევებში იარაღის ჩამორთმევის შესახებ“ სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების რეალიზაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი განიხილეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე.

ეს იყო ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიტანეს დღის წესრიგში, ხოლო მის უალრესად დიდ მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც სხდომაზე მოყვანილი ახალი ფაქტები. ამ ბოლო დროს ოპერატიული ვითარება საქართველოში უალრესად გამწვავდა, გაუარესდა საგარეთალდარღვევებთან ბრძოლის მდგომარეობა. გაბზარდა მილიციის განყოფილებებზე, სამხედრო და სამოქალაქო დაქვემდებარების ობიექტებზე თავდასხმის შემთხვევები იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით. მოსახლეობაში დაგროვილი იარაღი, სასროტკენელი ნივთიერებანი მძიმე დანაშაულთა ჩადენის პოტენციურ საფრთხეს ქმნის. ზოგიერთ რეგიონში აღინიშნება შეიარაღებულ ფორმირებათა თვითნებური შექმნის ფაქტები. ყოველივე ეს ხდება სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობის გამოვლენის ფონზე, რომლებიც არ ამორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ღონისძიებებს. პროვოკაციულად იწვევენ დაძაბულობას, ხდება ვითარების დესტაბილიზაცია, საფრთხე ექმნება ადამიანთა ხიცოცხლეს. მოვლენათა ამგვარი განვითარება რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენების ხამართლიან აღშფოთებას იწვევს, ხერიოზულად აბრკოლებს მის წინაშე მდგომი პირველი რიგის ამოცანების გადაწყვეტას.

განხილვის დროს გამოსულ მთავრობის წევრებს, ხამინისტროთა და უწყების ხელმძღვანელებს შეჰქონდათ კონკრეტული წინადადებანი და შენიშვნები. კერძოდ, ითქვა, რომ საჭიროა განამტკიცონ ხამართალდაცვითი ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არა ხახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხახსრების გამოყოფის გზით, არამედ ნაკლებეფექტიანი ხფეროებიდან ფინანსური ხახსრების გარკვეული გადანაწილების გზით. გამოითქვა აზრი, რომ მახობრივი ინფორმაციის ხაშუალებებმა უნდა მოაწყონ ფართო მაუწყებლობითი კამპანია რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის გამო, გაიჩალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა თითოეულის მიერ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოვლენის დიდი მნიშვნელობის შესახებ.

მიღებული დადგენილებით გათვალისწინებულია შეიქმნას სსრ კავშირის პრეზიდენტის 25 ივლისის ბრძანებულების რეალიზაციისათვის მთელი მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური შტაბი. მისი თავმჯდომარე გახდა ნ. ა. ჟითარევა, ხოლო შემადგენლობაში შევიდნენ ხამართალდაცვითი ორგანოების პირველი ხელმძღვანელები. ადგილებზე დანახული მუშაობის დიდი ეფექტიანობის მიზნით მიღებულია წინადადება, რომ რესპუბლიკის მინისტრთა ხაბჭოს პრეზიდიუმის წევრები პერსონალურად მიუჩინონ რეგიონებს, რომელთა ხელმძღვანელობასთან ერთად ბევრი მუდმივი კავშირი ძალისხმევის კოორდინაციისათვის. განიხილეს სხვა ღონისძიებებიც, რომლებმაც უკეთესობისაკენ უნდა შეცვალონ ოპერატიული ვითარება, რესპუბლიკაში ამ ხაგანგებო ამოცანის გადაწყვეტაში მართლწესრიგის ორგანოებთან ერთად ჩაებან ხაზოგადოებრივობის ფართო ფენები.

(საქინფორმი).

წერილები „კომუნისტს“

გამოუყენებელი რესურსები

დღეს, როცა საქართველოს სუვერენულ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე ვფიქრობთ, უთუოდ საჭიროა არსებული ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება. ახალი შესაძლებლობების გამონახვა, მათი მთლიანად ხალხის ხამსახურში ჩაყენება.

საქართველოს მრავალ რეგიონშია ბუნებრივი რესურსები და ამ მხრივ არც ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებია გამონაკლისი. ეს ადგილები მდიდარია ვულკანური წარმოშობის წიდებით, რომლებიც ჩინეთული ხარისხის მასალაა მსუბუქი ბეტონების დასამზადებლად. მოდეგის, ოკამის, სულდას, დაღეშის, საოამის, დელიფის ბეტონის ფოროვანი შემვსებების საბადოების დამტკიცებული მარაგი 130 მილიონ კუბურმეტრს შეადგენს, ხოლო პერსპექტიული 200 მილიონ კუბურ მეტრს აღემატება.

ვულკანური წიდებიდან შეიძლება მივიღოთ ბეტონის ხარისხოვანი შემვსები ქვიშა და ღორღი. მათ საფუძველზე კი „50-100“ მარკის 1300-1550 კილოგრამი კუბური მეტრი მოცულობითი მასის თბოსაიზოლაციო-კონსტრუქციული ბეტონები, აგრეთვე „150-400“ მარკის 1600-1900 კილოგრამი კუბური მეტრი მოცულობითი მასის კონსტრუქციული ბეტონები.

ამჟამად, რესპუბლიკის ბეტონის მთლიან მოცულობაში მსუბუქი ბეტონების წილად მოდის მხოლოდ 10-12 პროცენტი, და მისგან საკედლე მასალებს ამზადებენ. რაც შეეხება კონსტრუქციებს, მათ მსუბუქი ბეტონის საწარმოებლად არ ხმარობენ. აქვე დავძენ, რომ 30-50-იან წლებში მსუბუქი ბეტონისგან ჩვენში უშვებდნენ გადასახურავ ფილებს, რისთვისაც მსუბუქი შემვსებები სომხეთიდან შემოგვქონდა. თანდათანობით ამ შემვსებების ხარისხი გაუარესდა და ფილების წარმოებაც შეწყდა.

„საქქალაქმრეწვმშენი“ ამუშავებს ოკამის ვულკანური წიდის საბადოს, რომლის მოცულობა 300 ათას კუბურ მეტრსაც არ აღემატება. დღეს კი რესპუბლიკას 1,5 მილიონი კუბური მეტრი ესაჭიროება, უფრო მეტიც, გაანგარიშებით 4-5 წელიწადში მოთხოვნები მსუბუქ შემვსებზე 2-ჯერ, ხოლო 2000 წლისათვის 4-4,5-ჯერ გაიზრდება და მსუბუქი ბეტონების გამოყენება ბეტონების წარმოების საერთო ოოცულობაში 40-50 პროცენტს მიაღწევს.

ცალკე აღინიშნის ღირსია ფარავნის ტბის მაბლობლად აღმოჩენილი პერლიტის საბადო, რომლის მარაგი 200 მილიონი კუბური მეტრია. მაღალ ტემპერატურაზე დამუშავების შემდეგ იღებენ 30-დან 300 კილოგრამ, კუბური მეტრი მოცულობითი მასის აფუებულ პერლიტს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკაში საერთოდ და სოფლის მეურნეობაში და მშენებლობაში, კერძოდ. აფუებული პერლიტის ქვიშისა და ვულკანური წიდის ღორღზე დამზადებული ბეტონი შესანიშნავი საკედლე მასალაა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი რესურსების არსებობამ განაპირობა თავის დროზე მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც სინამდვილეში სრული დატვირთვით არ მუშაობს. ამ რეგიონში ჯერ-ჯერობით არ აუგიათ არც ერთი ფოროვანი შემვსების გადამმუშავებელი ქარხანა. დიახ, არ აუშენებიათ, მიუხედავად იმისა, რომ საამისოდ არსებობს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის დადგენილება.

ბეტონის ფოროვან შემვსებებზე დიდი მოთხოვნაა, როგორც ჩვენში, ისე კავშირში მთლიანად, და ეს საქართველოსათვის შეიძლება კარგ დამატებით შემოსავლად იქცეს.

მიხეილ კიკნაძე,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ითუ საჭიროება მოითხოვს

მოგეხსენებათ, უკანასკნელი წლების განმავლობაში ამერიკელების რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე დიდი რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, ბევრი მოძველებული. ხიდგური მთლიანად გადაკეთდა, ზოგი გაფართოვდა, ზოგან კი ახალი აშენდა. ეს სახურველი და მისახალმეხელია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა დიდ ხაქმეს ბატარა ეწირება, არადა, მისი არსებობა ზოგჯერ აუცილებელია.

ხაშურის რკინიგზის ხადგურის ბაქანზე მოგახსენებთ. რეკონსტრუქციის დროს იგი რატომდაც ზედმეტად ჩათვალეს და მოაშორეს. არადა, კარგ სამსახურს უწევდა მატარებლის მომლოდინე ხალხს. ახლა ისინი გარეთ, ხუთოა ბერზე ველარ გამოდიან, რადგან წვიმახა თუ თაკარა წზისაგან თავს ველარ იცავენ. ხომ არ აჯობებდა ბაქანის თანამედროვე სტილით გადაწყვეტა და არა მთლიანად მისი მოხსნა? ამით ეხითტიკურად ლამაზიც იქნებოდა ხადგური და ხალხიც კმაყოფილი დარჩებოდა.

ერთხაც დავძენთ: ხშირია შემთხვევა, როცა შემხვედრი მატარებელი ჩამოხულს უსწრებს, ხოლო მომლოდინე მატარებელს, გადაჭნცული მგზავრი ხათობით ელოდება.

ზეტაფონ-ხაშურის ხეკცია ხშირად იგვიანებს, ბორჯომ-თბილისი კი მას უსწრებს. თბილისიხაკენ მომავალი მგზავრი იძულებულია შემდგომ მატარებელს დამის პირველ ხათამდე ელოდოს. ერთი და ორი შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდით, მაგრამ...

თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

სიტყვა პოეზიის ბაღზე

ხაქართველო რომ პოეტების ქვეყანაა, ხოლო მისი დედაქალაქი—თბილისი კი პოეტური ქალაქია, ეს ოდითგანვე საყოველთაოდაა ცნობილი. მაგ, რატომ არ შეიძლება, რომ თბილისში გვქონდეს პოეზიისა და ხელოვნების ბაღი?

პოეზიისა და ხელოვნების ბაღი წარმოგვიდგენია არა მხოლოდ და მხოლოდ სასეირნო, გასართობ, დასასვენებელ ადგილად, — მისი გარეშო ჩვენი დედაქალაქის თითოეული რაიონისათვის (თბილისის ყველა რაიონში ცალ-ცალკე უნდა გაშენდეს სულ მცირე, 10-15 ჰექტრიანი პოეზიისა და ხელოვნების ბაღი) ეროვნული კულტურის და ხელოვნების ფართო ასპარეზად უნდა იქცეს, რადგან სწორედ აქ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ პოეტი, მწერალი, მუსიკოსი, მხატვარი, მეცნიერი და ხალხი. აქ უნდა ისინჯებოდეს ლიტერატურის, ხელოვნების ნაწარმოებთა ბაშნიკი, გაიმართოს ხოლმე პოეზიაზე, ლიტერატურაზე, ხელოვნებისა თუ მეცნიერების საკითხებზე დისპუტები და იქცეს კიდეც ტრადიციად. ასე რომ, პოეზიისა და ხელოვნების ბაღი ჩვენი ეროვნული კულტურის ერთ-ერთ ძლიერ ცენტრად გვესახება. ამასთანავე, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითაც იგი უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს...

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოეზიისა და ხელოვნების ბაღში შეიძლება არა ერთი ნაგებობისა და ქანდაკების დადგმა. აშენდეს და მოეწყოს თანამედროვე ტიპისა და ამავე დროს ლანდშაფტის შესაფერისი კინოთეატრები, თეატრები, თეატრონები, რომლებიც სასურველია აიგოს მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ არქიტექტორთა ნამუშევრების მიხედვით.

მოგეხსენებათ, რომ ვარკეთილი-3 დასახლება თანამედროვე სტილით ნაგებ კომპლექსთა ერთიანი ბლოკია. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ვერ ტოვებს თანამედროვე ქალაქისათვის (მითუმეტეს დედაქალაქისათვის) შესაფერისი რაიონის შთაბეჭდილებას თუნდაც იმის გამო, რომ არ გაჩენია არც ერთი ბულვარი და ბაღი კინოთეატრით, თეატრითა ან თეატრონით.

ამიტომ ძლიერ საშურ და გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია, რომ არა მარტო ვარკეთილი-3, არამედ, საერთოდ თბილისის ათივე რაიონში პოეზიისა და ხელოვნების ბაღების გაშენების იდეის პრაქტიკულად განხორციელება, რათა ამით თბილისს აღვუდგინოთ ნამდვილი პოეტური ქალაქის სახე.

ხსენებული იდეის განხორციელება საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მომავალში ხელს შეუწყობს უთუოდ თბილისში ზოგიერთი მწვავე ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრასა და გადაუდებელი საკითხების მოგვარებასაც. ამ მიზნით სასურველია, რომ როგორც ვარკეთილი-3, ასევე თბილისის მთელი რიგი სხვა რეგიონების ბაზაზე მეცნიერულად შეკისწავლოთ და გადაეკრათ მაგალითად, მწვანე მშენებლობის როლი თბილისის ზოგიერთი ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების საქმეში და მათი ეკომომიკური ეფექტიანობა, რისი ცოდნაც უთუოდ სასიკეთოდ წაადგება (ეს პირველი მეცნიერული კვლევა იქნება ამ თვალსაზრისით), თბილისის, ამ მილიონიანი ქალაქის მოსახლეობას და ასევე არქიტექტორებსა და მშენებლებს მისი დაგეგმარების და განაშენიანების გასათვალისწინებლად.

თამაზ ჭარაქაშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და ხამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი;

იქნებ გვეშველოს?

როგორც ცნობილია, თბილისი ეკოლოგიურად კატასტროფულ მდგომარეობაშია. თბილისის გაბინძურებაში უდიდესი წილი ავტომანქანების გამონაბოლქვს უკავია.

მანქანები ძირითადად დაბალი ხარისხის ბენზინზე მუშაობენ, რაც მავნე ზეგავლენას ახდენს თბილისის ფაუნასა და ფლორაზე.

ეკოლოგიურად ყველაზე დაბინძურებულია თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და მშვიდობის პროსპექტები, ავჭალის გზატაცილი, გორგასლის, გელოვანის, მერაბ კოსტავასა და სხვა ქუჩები.

ლენინგრადის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „პრომეთეს“ კოლექტივმა გამოიგონა ავტომანქანების მავნე გამონაბოლქვის შემამცირებელი აპარატი, რომელიც მნიშვნელოვნად სჯობს 8 გრამი პლატინისაგან დამზადებულ 200 დოლარიან იმპორტულ აპარატს. ლენინგრადელების უპირატესობა ის არის, რომ მათი აპარატი ნამდვილი პლატინის მაგივრად მისი შემცველიათ იმუშავებს (შემცველიც თვითონვე გამოიგონეს), 20 ტონა პლატინას ღსზოგავს, 1,5 მილიარდი მანეთის ეკონომიას მისცემს სახელმწიფოს და 70—80 პროცენტით შეამცირებს მანქანების გამონაბოლქვს. იგი სულ 100 მანეთი დაჯდება.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ-ჯერობით ეს სიახლე არსად არ დანერგილა. არადა, საქართველოში ამ საქმის მოგვარება მრავალ საწარმოს შეუძლია.

ეფიქრობ, ასევე შესაძლებელია ლენინგრადელთა მეორე გამოგონების — ახალი ტიპის აკუმულატორების საქართველოში წარმოებაც. ეს აკუმულატორები გამოიყენება სატვირთო, სამგზავრო, მსუბუქ ავტომანქანებზე, ავტოკარებსა და ინვალიდთა ეტლებზე. იგი ჩვეულებრივზე 10-ჯერ მცირეა, სიმძლავრე კი 20-ჯერ მეტი აქვს, ორჯერ მეტია ექსპლოატაციის ხანგრძლივობაც.

ბრიგოლ კაპკორია,
საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, პროფესორი.

მხარს ვუჭერთ

ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მრავალგვარი სახიცოცხლო პრობლემა დაგროვდა, ხენზინის დეფიციტმაც გაგვერთულა ხაქმე, რომლის დადებითად გადაჭრისათვის, ცხადია, ხათანადო ორგანოები ზრუნავენ კიდეც და ადრე თუ გვიან ამ საქმეს მოიკლებს. მაგრამ იქამდე ხაჭირო: რადიკალური ზომების მიღება, რადგან, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ბენზინის დეფიციტთან დაკავშირებით უამრავმა ნეგატიურმა მოვლენამ იჩინა თავი.

სწორედ ასეთ რადიკალურ ზომად მიგვაჩნია გაზეთ „კომუნისტში“ დახეხილი წერილი „ვის წინააღმდეგ ვასხამთ ნეკლს?“ (18.VII) გამოთქმული მოსაზრება ბენზინის ტალონების შემოღების შესახებ, რასაც მთლიანად ვუჭერთ მხარს. ჩვენი ხურვილია, რაც შეიძლება მალე განხორციელდეს იგი, რამეთუ შექმნილ სიტუაციაში გაუკეთესობისა და ეტაპობრივი ადამიანის დაუცველობის აღსაკვეთად სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტის ავტომოუვარეულ თანამშრომელთა სახელით ლევან ზაპალაძე, ალექსანდრე ქართველიშვილი, ვლადიმერ სილაბაძე, ბორის შევაჯანიძე და სხვები. (სულ 98 კაცი).

შეხვედრა კრემლში

27 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის სამუშაო შეხვედრა უურნალისტებთან, მეცნიერებთან და პუბლიცისტებთან, რომლებიც ეკონომიკის პრობლემებზე არიან დასპეციალებულნი.

გაიმართა ფართო სკა-ჩასაბაა სოციალურ-ეკონომიკური ვითარების საკითხებსა და ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრის მეთოდებზე.

სუბარში მონაწილეობდნენ ი. აბენჩენკო, ა. აუზანი, ვ. ბადოვი, მ. ბერგერი, პ. ბუნიჩი, ე. გაიდარი, ა. ვავილოვი, გ. იავლინსკი, ე. იაკოვლევი, ი. იაკუტინი, ი. კოროლიოვი, ი. კლიამკინი, ი. კუზმინოვი, ვ. კუზმიშჩევი, ო. ლაციისი, ე. ლეონტიევი, ი. ნიტი, ა. პეტრაკოვი, ლ. პიიაშევა, გ. პისარევსკი, ნ. ყელნოროვა, ა. რუბაკოვი, ე. საგალაევი, ვ. სელიუნინი, ა. სტრელიანი, ნ. შმელოვი, ი. ჩერნიჩენკო, მ. ხოდორკოვსკი.

შეხვედრის მონაწილეთა წინაშე გამოსვლისას მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ახლანდელ პასუხსაგებ მომენტში უნდა გავაერთიანოთ ყველა გარდაქმნის ყველა მომხრის ინტელექტუალური ძალისხმევა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ პრეზიდენტის საბჭოს წევრები ე. პრიმაკოვი და ა. იაკოვლევი. (საკდესი).

პროგლემა **თვალსაზრისი** **პოზიცია**

სვანეთი უნდა სვანეთოგდეს

ლენტეხი—ჩვენი საერთო საფიკვარი

ამ ოთხი ათეული წლის წინათ ლენტეხის რაიონში 8500-მდე კომლი ცხოვრობდა. ცხოვრობდნენ ისე, როგორც მთის ლაღ ბუნებაში შეზრდილ ადამიანებს ჩვეოიათ და ეკადრებათ: ურთიერთსიყვარულით, თანადგომით, ჭირსა და ლხინის საზიარო პატივისცემით. და თუ აკა-იქ, მაინც რაიმე უთანხმოება წამოიჭრებოდა, არსებული წესით ოჯახის ავის სხვაგან გატანას სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ, სადაო საკითხსაც ძირითადად იქვე, ოდითგანვე ცნობილი სვანური ადათითა და სამართლით გადაწყვეტდნენ ხოლმე. მოდავეთ დანშაულს მისხალ-მისხალ აუწონდნენ, ყველას თავის საგებელს მიაგებდნენ.

ასე იყო ყოველთვის, სანამ ცხოვრების მამა-პაპური წესი არ დაირღვა და იგი გარეგან თავსმოხვეულმა სოციალურმა და ეკონომიურმა ურთიერთობებმა არ შეცვალა. პირდაპირ და შიუკიბ-მოუკიბავად რომ ვთქვათ, მთის ამ რეგიონის ყოფაში დაკანონებული საუკუნოვანი ტრადიციების მოშლა და გადაგვარება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო როცა, თავის დროზე არავინ გაუწია ანგარიში აკაური რთულ რელიეფურ პირობებს, მკაცრ ბუნებ, შცარე მიწიანობას, ნაკვეთთა წვრილ კონტურიანობას და ასე დაუსაბუთებლად, ყოველად გაუმართლებლად, აკაური გლეხიც საზოგადოებრივ მეურნეობებში გაიერთიანეს. მართალია ეს მოგვიანებით მოხდა, მაგრამ ნაბიჯი იმდენად წინდაუხედავი გამოდგა, რომ მისმა უარყოფითმა შედეგებმა მალე იჩინა თავი. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებამ გაავირანა გლეხის საფიცარი, მთის ისედაც მწირი სანნაგ-სათიბები, გლეხკაცს ხელიდან გამოაცალა მრავალრიცხოვანი ოჯახის მარჩენალი მიწა. ამ სამი წლის წინათ ამას დამატა ბუნების ბედუკუღმართობაც, რომელმაც მთელი საქართველო შესძრა, ლენტეხის რაიონის 1200 კომლს, ძირძველი ფუძე მოუშალა და ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა.

ასე შეიქმნა სვანთა დასახლებანი საქართველოს ცალკეულ რეგიონებში. ლენტეხის რაიონში დარჩა 2000 კომლი თავისი სიხლისა და ხორცის მოკვეთილი გამოწვეული ტკივილითა და ზარით.

საიდან არ უწვდიდნენ დახმარების ხელს საქართველოს ამ ლამაზ კუთხეს, რადგან უსახლკაროდ, ჩასაცმელ-დასახურავის გარეშე დარჩენილი ოჯახების წინაშე ფართო არჩევანი არ იდგა. იმ პერიოდში არავის უკვირდა, როცა ადამიანებმა ახლადშენებული კუთვნილი ბინები უსახლკაროდ დარჩენილთ დაუთმეს და წლების განმავლობაში ოცნებად ქცეული ახალი ბინის მიღებით გამოწვეული სიხარული კარგა ხნით გადავიდეს. თუმცა, როგორიც არ უნდა ყოფილიყო გარეგან თანაგრძნობა, იგი იმას მაინც ვერ შეიდრეკდა, რაც თავად ბედისაგან გაწწირულ აკაურ კაცს აწუხებდა და სტაციოდა. ...და, ნაკლებად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ გაჭირვების დროს, ამ კუთხის ადამიანები ერთხულოვნებისა და ურთიერთთანადგომის ჩვეულებს უღალატებდნენ და ერთმანეთს დაუბარისპირდებოდნენ.

ბოლო დროს ლენტების რაიონში ძალზე ფაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მოშლილია შრომის რიტმი, ადამიანებს გული საქმეზე აღარ მიუდიო. ზოგი პირად ამბიციებსა და ინტერესებს გაუტაცნია, არიან ისეთებიც, რომლებიც ამდვრეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობენ. არის ვნებათა ღელვა, მთქმა-მოთქმა, მოთხოვნები და წინადადებები, ბევრ სიმართლესთან ერთად ხშირია ჭორი და ცილისწამება.

ლენტეხში შექმნილ ვითარებაზე რაიონული გაზეთი პირდაპირ წერს: „დღეს ყველა ჭკუათმყოფელი მიხვდება ამას, რომ ჩვენს რაიონში ადამიანებს შორის შუღლი, მტრობა, ურთიერთდაპირისპირებულობა, უნდობლობა, სიძულვილი და, რაც უფრო სამწუხაროა, კუთხურობა თანდათან სულ უფრო საშიშ ხახეს ღებულობს. დასმენას, ზურგს უკან საბარის გთხრას წაქეზებასა და ძმათა შორის შუღლს ბოლო ადარ უჩანს, ამას კი სიკეთე არასოდეს მომყოლია და არც ეს, მტრის გულის გასახარი საქმე გვიქადის სასიკეთოს“.

შექმნილი ვითარება იმით არის გამოწვეული, რომ ბოლო წლების მანძილზე რაიონში მართლაც ბევრი საკრებრროტო საკითხი დაგროდა, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტასა და დროულ რეაგირებას საჭიროებს. სწორედ ამას მოითხოვდნენ ამას წინათ რაიონის ცენტრში მიტინგზე თავშეყრილი რაიონის მშრომელები, რომლებმაც 22 პუნქტისაგან შემდგარი მოთხოვნა წაუყენეს რაიონის ხელმძღვანელობას, ამათგან ერთ-ერთი უმრავლესი იყო ტყეების დაცვის საკითხი.

ტყე მართლაც აკაურთა მთავარი სიმდიდრეა და მისადმი ყურადღება აკაური კაცის ძირითადი საზრუნავი უნდა იყოს, ნამდვილი მამულიშვილისათვის ასეც არის.

ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინათ, თავისი ეროვნული სიმდიდრის გულშემატკივარმა ადამიანებმა გაითვალისწინეს ის საფრთხე, რომელიც რაიონის ტყეებს ლენტეხში პარკეტის საამქროს ამოქმედებით დაეშუქრებოდა და უკვე დამონტაჟებული და საექსპლოატაციოდ გადასაცემი საწარმო დაახურვინეს, მაგრამ ამ ქვეყნად პირადი გამორჩენის მოყვარულთ რა დალევს. რაიონის პატრიოტთა ერთი ჯგუფის წინააღმდეგობის მიუხედავად, ასეთმა პირებმა თავისი გაიტანეს და წალენჯიხის სატყეო მეურნეობის სახელით ტყეების უმოწყალოდ გაჩეხვა იწყეს. ასე გაერანდა ლაბრახის მიდამოებში ლამეზურის ტყიანი ქედის ნაწილი. ამას ისიც დამატა, რომ სათიბებიდან პირუტყვისათვის საკვების გამოზიდვის მოტივით მთებში 20-25 კილომეტრზე გზები შეიყვანეს, შელახეს და დაამახინჯეს ჯუნგა, რითაც ტყეც ავისმზრახველთათვის უფრო იოლად ხელმისაწვდომი გახადეს. პირუტყვის საკვებისათვის გზის გაყვანა ზოგიერთათვის ხელის მოსათბობი სობები იყო თორემ, დაბიერსა და ბარში ჩასახახლებლად გაითვალისწინეს 14 ასეთი ოჯახი, რომლებიც ამ სოფლებში კომლებად საერთოდ არ ირიცხებიან და სტაჟამდე რამდენიმე წლით ადრე უკვე გადასახლებული იყვნენ ბარის რაიონებში. ანალოგიურ ფაქტებს ქონდა ადგილი ხოფურისა და ჩოლურის სასოფლო საბჭოებში.

ჰოდა, ამის შემდეგ, აბა რა გასაკვირია რაიონის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილის აღშფოთება, მათ მიმართ ხმის ამაღლება და დაპირისპირება, ვინც ამ გაჭირვების ჟამს უღალატა ობიექტურობას და კეთილსინდისიერებას გვერდზე განუდგა, რასაც შედეგად ადამიანთა ურთიერთდაპირისპირება მოყვა.

აღსანიშნავია, რომ აკტები, რომლებიც თანხების გაცემის საფუძველი გახდა, შედგენილი არაა ცალ-ცალკე ოჯახებზე, არც ერთ მათგანზე ხელს არ აწერენ სახოფლო საბჭოების ადამიანები თავმჯდომარეები და კომისიის წევრთა უმრავლესობა. არადა სოფლის ბედ-იღბალი, მისი ავ-კარგი, უველაზე მეტად ვინ უნდა იცოდეს და აწუხებდეს თუ არა სახოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს? ამას ისიც დამატა, რომ „წითელი ჯვრის“ რესპუბლიკური საბჭოს მიერ რაიონისათვის გამოყოფილი დახმარების თანხებიდან (სულ გამოყოფილი იყო 97 000 მანეთი) სრულიად არაუფრი მისცეს 89 მრავალშვილიან ოჯახს.



დარღვევები და უკანონობანი გამოვლინდა საზოგადოებრივ მეურნეობებში სტაჟით მიუენებული ზარალის ანაზღაურებისა და აღდგენითი სამუშაოების დოკუმენტაციის შედგენის საკმეზე. არა ნაკლები სირცხვილი და თავის მოკვლა გაუბედურებული ადამიანებს კუთვნილებისამებრ არ მისცე მისი წილი შაქარი, ავეჯი, მსუბუქი ავტომანქანები და ყველაფერი ეს გასაგები თუ გაუგებარი მიზეზებით ან ამა თუ სხვებს, ამ საქმისაგან შორს მდგომ ადამიანებს მიაკუთვნო.

სტაჟით დაკრილ-დაზარალებულ აკაურ ბუნებას კიდევ ერთ მძიმე ჭრილობას აყენებს სოფელ ცანის რაფინირებული დარშმანის წარმოების სამთო ქიმიური ქარხანა, რომელიც დიდი ხანია წამლავს გარემოს. შხამი მდინარე ცხენისწყალში ჩაედინება. არა ერთხელ დადგა საკითხი მისი მოქმედების შეჩერებაზე, სანამ წესრიგში არ მოიყვანდნენ ან სრულყოფდნენ ტექნოლოგიურ ციკლს, მაგრამ ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩება, წინ არ იძვრის საქმე.

ვითარება მძიმეა. ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ეს ყველაფერი შეგვიძლია განვლილად, წარსულად ჩავთვალოთ, ხოლო თუ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 26 ივნისის № 359 დადგენილების და მიხგან გამომდინარე უახლოესი გეგმების კვლევაზე, რაიონის მომავალს წარმოვიდგენთ და ვიკვარაუდებთ, იმედი ჩაგვეხახება. მთავარია, რომ დადგენილების შესახებ ალბათ გამოიძებნება საშუალება იმ 800 ოჯახის რაიონშივე დასახლებლად, რომლებიც გეოლოგიური დასკვნებით უახლოესი პერიოდისათვის გადასახლებას ექვემდებარებიან.

ახლახან ლენტეხის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები საქართველოს მთავრობის იმავე დადგენილებით გლეხურ მეურნეობად გარდაქმნა და მთელი პირუტყვი, სავარგული, სახნავ-სათესი და ხაძოვარი უსასყიდლოდ გადაეცათ გლეხებს სამუდამო ხარგებლობაში მემკვიდრეობის უფლებით. ამასთან ისინი არანაკლებ ხუთი წლის ვადით თავისუფლდებიან ყოველგვარი გადასახადისაგან და სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საკალდებულო ჩაბარებისაგან.

ამა კარგად გავიაზროთ: ეს დიდი ნაბიჯია, დიდი გარდატეხაა მთიელი კაცის ცხოვრებაში. მრავალი ათეული წლის ტანჯვა-წამების შემდეგ ბოლოს და ბოლოს ის თავის მიწა-წყალს მოეპატრონა, მამა-პაპური ცხოვრების წესს დაუბრუნდა, — ამიერიდან ისე იშრომებს და იცხოვრებს როგორც მიწის სიყვარული, მისი გლეხური ალღო უჩვენებს და უკარნახებს და არა იმათი ბრძანებებით და მითითებებით ვისაც არაფერი გაეგებოდა აკაურობისა და სვანი კაცის საწუხარს ვერასოდეს მიხვდებოდა. ფაქტობრივად ხომ ზემოდან კარნახის შედეგი იყო, რომ საკოლმეურნეო ფერმებმა გაალარიბა და დააქცია აკაური საზოგადოებრივი მეურნეობები. ერთი ხუთად იმაზე მეტი უჯდებოდათ ხორცი და რძე რასაც სახელმწიფო უხდიდა. სხვანაირად ან კი როგორ იქნებოდა, როდესაც ბარიდან ეზიდებოდნენ თივასაც და კომბინირებულ საკვებსაც.

სვანეთის ცხოვრებას რომ აღწერს, ბესარიონ ნიკურაძე ერთი საუკუნის წინათ გამოქვეყნებულ ნარკვევში ამბობს, რომ სვანს, მრავალრიცხოვანი ჯოგი არასოდეს ყოლია, 10-12 ძროხაზე მეტი შეძლებულ გლეხსაც არ ყავდა, იმდენს დაიყენებდნენ, რამდენი თივის მომარაგებაც შეეძლოთ აკაური გრძელი ზამთრისათვის.

იქნებ ახლა მაინც ეშველოთ და ბუნების შეწევნით ისე მოეწყოს და დალაგდეს ყველაფერი, რომ მთიელ ქართველ კაცს ეცხოვრებოდეს აქ, სვანეთი სვანეთობდეს. მაშინ ბარისაკენ ვინღა გაუწევს გული.

დიდი ხნის წინათ დავიწყებული ბუნებასთან ურთიერთობის ტრადიციების აღდგენა, ალბათ ზნეობრივადაც განწმენდს და განაახლებს ადამიანებს და მთის კაცს კვლავ დაუბრუნდება ის ხიხეტაკე და პატიოსნება, რომლითაც იგი ოდითგანვე განთქმული იყო.

ბორის ფოცხვერაშვილი, მიხეილ მიქაძე.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტები.

1990 წლის 20 ივნისს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სხდომამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობით და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ამოცანებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლის შესაბამისად ერთხმად დადგინა: მიჩნეულ იქნეს, რომ სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის, კავშირისა და ფედერაციის სუბიექტთა უფლებამოსილების გამიჯვნის, ეკონომიკური ურთიერთობის საფუძვლების, საკუთრების, საგანგებო წესების სამართლებრივი რეჟიმის შესახებ, აგრეთვე საშემოსავლო გადასახადებთან დაკავშირებული სსრ კავშირის კანონები არ შეეხებამება საქართველოს სსრ ინტერესებს და თავიანთ საქმიანობაში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს მინისტრთა საბჭომ ამ დადგენილებით უნდა იხელმძღვანელონ. ამით უზენაესმა საბჭომ მთელი ქართველი ხალხის ნება გამოხატა: ეს კანონები ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ იმოქმედებს.

ჩვენ ამ სტატიაში პირველი ორი კანონის მიღების პროცესს შევეხებით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სხდომაზე და აქვე ვუპასუხებთ კითხვას: ხომ არ დაგვიანეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ქართველმა დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს სხდომაზე თავიანთი აზრის გამოთქმა, დროულად გაეშიჯნენ თუ არა ისინი ამ კანონპროექტებს?

აღვნიშნავთ ამას არა მადლიერებისათვის (ეს მათი წმინდა მოვალეობა იყო), არამედ იმიტომ, რომ ვალმოდგილად გრძნობდეს თავს სხდომაზე ქართველ დეპუტატთა უმრავლესობა. ეს იმიტომ, რომ ადრეც ამ კანონპროექტების განხილვისა და მათი კენჭისყრის წინ, ქართველმა დეპუტატებმა კოლეგიტიურად გამოხატეს თავიანთი კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება ორივე კანონპროექტის მიმართ. იმ დროს, ეს არც ერთი რესპუბლიკის დეპუტაციას არ გაუკეთებია.

რასაკვირველია, ამ უმწიფარ, რესპუბლიკათა დახჭიხა და დაშინების კანონპროექტებს სხვისაზე მეტად ჩვენ ვიცავდა მომხრეები, რომლებსაც ყველაზე მეტი უარადღება მათი განხილვის დროს დეტალებზე გადაქონდათ. ამასთან ერთად ჩვენ ვალდებული ვართ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ, საბედნიეროდ, რუსეთს ყოველთვის ჰყავს ნიჭიერი და მაღალი მორალური პრინციპებით აღჭურვილი პირები, რომლებიც ხეხიის მაღალ ტრიბუნიდან დამჯერებლად მიუთითებდნენ კანონპროექტების თვალშისაცემ, ანსურდულ წინააღმდეგობებზე და იმ საფრთხეზეც, რომელიც ამ კანონპროექტებმა შეიძლება შეუქმნას უპირველესად რსფს რესპუბლიკის მთლიანობას.

1990 წლის 21 მარტს უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოზე იხილება კანონპროექტი იმ საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის ეხება. მომხსენებელი ა. ე. სებენცოვი ლაპარაკობს ამ კანონპროექტის ნაჩქარებ მომზადებასა და სირთულეზე, ამასთან ერთად ითხოვს პირველივე წაკითხვით მიიღონ იგი. თანამომხსენებლის როლში გამოსული გ. ს. ტარაზევიჩის აზრით, მასზე დიდხანს მუშაობდნენ ეროვნებათა საბჭოს ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომისიაში.

დეპუტატების ერთი ჯგუფი დეტალებს იწუნებს, მეორე კი, უფრო მცირე, მთლიანად კანონპროექტს. ბევრი დეპუტატი შეურაგებელ პოზიციას აფიქსავებს ავტონომიური წარმონაქმნისა და კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული ჯგუფების სტატუსის განსხვავებულად განსაზღვრაში. სწორედ მაშინ, როცა მოკავშირე რესპუბლიკა გამოყოფის საკითხს აყენებს. ბევრს კი სწორედ ეს მოსწონს. ასე, ე. ვ. კოგანის აზრით, გასვლის დროის დაწყებიდან უნდა გადავწყვეტოთ ამა თუ იმ რესპუბლიკაში კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული ჯგუფების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტატუსი.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ლიტვისაგან ნ. ნ. მედვედევი აბსურდულად თვლის კომპაქტურად მცხოვრები ეროვნული ჯგუფებისათვის განსხვავებული სტატუსის დადგენას მოკავშირე რესპუბლიკების გამოყოფის მომენტისათვის. მისი აზრით, ასეთმა გადაწყვეტამ შეიძლება თვით ქალაქები დაყოს სხვადასხვა სამართლებრივ სტატუსებად, თუ იქ განსხვავებული ეთნოსი კომპაქტურად ცხოვრობს.

21 მარტს კავშირის საბჭოს სხდომაზე, ჩვეული მკერმეტყველებით, სიტყვას ამბობს დეპუტატი ნ. მ. მგალობლიშვილი. იგი აღნიშნავს იმას, რომ დროულად უნდა მივიღოთ კანონი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი განუხილველად მივიღოთ. წარმოდგენილი კანონპროექტი ჯერ კიდევ ნედლი მასალაა და მისი გადამუშავება აუცილებელია. ეს ეხება მთელ პაკეტს კანონპროექტებისა, ე. ი. მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის, სამოკავშირეო ხელშეკრულების განახლების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებამოსილებათა გამიჯვნის, საზოგადოდ სსრ კავშირის წყობილებაზე. „მე მუხლობრივად არ განვიხილავ ამ მეტად საჭირო და მეტად მნიშვნელოვან კანონს. ყველა შენიშვნა გადაეცემა კომისიას, მაგრამ სრულიად კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი, მწვავედ აქტუალური კანონის თვით პირველი წაკითხვით მიღების უფლება არა გვაქვს ჩვენ — უზენაეს საბჭოს.

მოდით და გამოვაქვეყნოთ იგი, მოგუსმინოთ რას იტყვიან რესპუბლიკები და მათი უზენაესი საბჭოები, ავტონომიური წარმონაქმნები და უბრალოდ მოქალაქენი. განვაზოგადოთ ეს გამოთქვამები და წინადადებები და ზოგადი ფორმით დავამტკიცოთ ეს კანონი კავშირისათვის, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით, ხოლო თითოეულმა რესპუბლიკამ უნდა შეიტანოს თავისი ცვლილებანი და დაამტკიცოს თავისი კანონი.

უზენაესი საბჭოს წევრი, კურსკის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ნ. ნ. პრიბლოვა ითხოვდა მიღებულიყო კანონის სპეციალური ქვეთავი „დისჯიდობის შესახებ ექსტრემისტულ“ მიდგომისას, საზოგადოდ ამ საკითხების (და არა მხოლოდ უზენაესი საბჭოს მიერ) გადაწყვეტისას, რომლებიც მარტო ხალხების ბედზე კი არ მოქმედებენ, არამედ ცალკეული პიროვნებებისაც“.

როგორც ხედავთ, ყველაზე ჰუმანური დარგის — მედიცინის მსახური გასვლის ყველა დღევანდელ მომხრეს ექსტრემისტად აცხადებს და მზად არის მათთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოითხოვოს. ასე შორს არ წასულა თვით ე. ვ. კოგანი. მან მოიწონა მასზე ადრე გამოთქმული ე. უ. კიმის აზრი, რომ უნდა დაისჯოს ვადამდე დათხოვნით იმ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც გასვლის თაობაზე რეფერენდუმის მოწყობის საკითხი აღძრა, მაგრამ ეს არ გავიდა. მას აქ ის ადარდებს, რომ რეფერენდუმს საკმაო ხარჯები სჭირდებაო.

უზენაესი საბჭოს წევრი, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ი. ბ. ზელინსკი თვლის, რომ ჩვენ უურადღებიანი და ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ამიტომ არ კმარა რეფერენდუმის დროს რესუბლიკის გასვლას ხმას აძლევდეს „ორი მესამედი— ეს მეტად საშიში უმრავლესობაა. ვთვლი, რომ უნდა იყოს სამი მეოთხედი — 75 პროცენტი“.

უზენაესი საბჭოს წევრი ვ. ი. გროსი ბრიანსკის ერთ-ერთი საწარმოს გენერალური დირექტორი, ეთანხმება ამას და იქვე დასძენს — „იქნებ რამდენადმე გავზარდოთ კიდეც ეს კვორუმი“.

უზენაესი საბჭოს წევრი, კოსომოლეტი ს. ე. სავიცკაია თვლის, რომ რამდენადაც მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის კანონი არ არის რიგითი, ჩვეულებრივი კანონპროექტი, რეფერენდუმზე რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობით უნდა წყდებოდეს გასვლის საკითხი.

აქ კი მომხსენებელი ა. ე. სებენცოვი ვეღარ იკავებს თავს და უპასუხებს: „ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის წყობა, საკუთრების საკითხი, პრეზიდენტობის. შემოღება ხმების ორი მესამედით“. მაშასადამე რა ასეთი საკითხია რესპუბლიკის გასვლა, ეს საყოველთაოდ აღიარებული წესი, რომ დავარღვიოთო. ყველაფერი ეს ს. სავიცკაიას ესმის, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რა ამოძრავებს მას: ყველასა და თითოეულს რესპუბლიკის გასვლის საკითხის დაყენების ხალისიც კი წაუხდინოს.

უზენაესი საბჭოს წევრი, კურსკის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ნ. ნ. პრიბლოვა ითხოვდა მიღებულიყო კანონის სპეციალური ქვეთავი „დისჯიდობის შესახებ ექსტრემისტულ“ მიდგომისას, საზოგადოდ ამ საკითხების (და არა მხოლოდ უზენაესი საბჭოს მიერ) გადაწყვეტისას, რომლებიც მარტო ხალხების ბედზე კი არ მოქმედებენ, არამედ ცალკეული პიროვნებებისაც“.

როგორც ხედავთ, ყველაზე ჰუმანური დარგის — მედიცინის მსახური გასვლის ყველა დღევანდელ მომხრეს ექსტრემისტად აცხადებს და მზად არის მათთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოითხოვოს. ასე შორს არ წასულა თვით ე. ვ. კოგანი. მან მოიწონა მასზე ადრე გამოთქმული ე. უ. კიმის აზრი, რომ უნდა დაისჯოს ვადამდე დათხოვნით იმ რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც გასვლის თაობაზე რეფერენდუმის მოწყობის საკითხი აღძრა, მაგრამ ეს არ გავიდა. მას აქ ის ადარდებს, რომ რეფერენდუმს საკმაო ხარჯები სჭირდებაო.

უზენაესი საბჭოს წევრი, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ი. ბ. ზელინსკი თვლის, რომ ჩვენ უურადღებიანი და ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ამიტომ არ კმარა რეფერენდუმის დროს რესუბლიკის გასვლას ხმას აძლევდეს „ორი მესამედი— ეს მეტად საშიში უმრავლესობაა. ვთვლი, რომ უნდა იყოს სამი მეოთხედი — 75 პროცენტი“.

უზენაესი საბჭოს წევრი ვ. ი. გროსი ბრიანსკის ერთ-ერთი საწარმოს გენერალური დირექტორი, ეთანხმება ამას და იქვე დასძენს — „იქნებ რამდენადმე გავზარდოთ კიდეც ეს კვორუმი“.

ფანტასტიკური კანონი

საქართველოს პარლამენტის ერთსულოვანი ვერდიქტი შეუქცევადი აქტია

წერილი პირველი

მიღების უფლება არა გვაქვს ჩვენ — უზენაეს საბჭოს.

მოდით და გამოვაქვეყნოთ იგი, მოგუსმინოთ რას იტყვიან რესპუბლიკები და მათი უზენაესი საბჭოები, ავტონომიური წარმონაქმნები და უბრალოდ მოქალაქენი. განვაზოგადოთ ეს გამოთქვამები და წინადადებები და ზოგადი ფორმით დავამტკიცოთ ეს კანონი კავშირისათვის, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანით, ხოლო თითოეულმა რესპუბლიკამ უნდა შეიტანოს თავისი ცვლილებანი და დაამტკიცოს თავისი კანონი.

უზენაესი საბჭოს წევრი, ოდესის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ი. ბ. ზელინსკი თვლის, რომ ჩვენ ყურადღებიანი და ფრთხილნი უნდა ვიყოთ. ამიტომ არ კმარა რეფერენდუმის დროს რესუბლიკის გასვლას ხმას აძლევდეს „ორი მესამედი— ეს მეტად საშიში უმრავლესობაა. ვთვლი, რომ უნდა იყოს სამი მეოთხედი — 75 პროცენტი“.

ნუ გგონიათ, თითქოს ამ კითხვას დაებნიოს გ. ს. ტარაზევიჩი. აი მისი პასუხი, სადაც იგი ერთნაირად ღალატობს სიმართლესაც და ლოგიკასაც:

— „იმიტომ, რომ შესვლის დროს, სამოკავშირო ხელშეკრულების დადებისას, ვინც დებდა ამ ხელშეკრულებას, აგრეთვე ფაქტობრივად გამოხატავდა თავისი ხალხის ნებას, იყო წარმომადგენელი იმ ხალხებისა, რომლებიც დებდნენ ამ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. რა ფორმით? ძნელი სათქმელია, მაგრამ ისინი ჭეშმარიტად იყვნენ სრულუფლებიანი წარმომადგენლები თავიანთი ხალხებისა. ახლა, დღეს კი ყველაზეა დემოკრატიული ფორმა ნების გამოხატვისა ეს რეფერენდუმია“.

აქვე მომხსენებელი დასძენს, თითქოს რეფერენდუმი ორგანიზაციულ-ტექნიკურად უფრო ადვილი იყოს.

1990 წლის 3 აპრილს კანონპროექტის მოახლოებული მიღების სიხარულში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე რაფიკ ნიშანოვი საზეიმო სიტყვისათვის ემზადებოდა. იგი ახლა არაფრად მიიჩნევდა იმას, რომ 23 მარტს დაპირდა დეპუტატებს, პირველი წაკითხვის შემდეგ კანონპროექტს მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოს დავუგზავნითო. ამას იგი ახლა ზედმეტად თვლის. თავმჯდომარეს სურს შენიშვნები კონცეპტუალურ საკითხებს აღარ შეეხოს (სამართლის თქმის დრო გასულა მისი პირველი წაკითხვის შემდეგ). დეპუტატთა ერთი ნაწილი კანონად მიღებამდე მცირე ჩქმეტებით ცდილობს დროის გაყვანას; სწორედ ამ დროს ქართველ დეპუტატთა სახელით სიტყვას ამბობს თ. პ. ბუაჩიძე. ამ სიტყვას დიდი რეზონანსი ჰქონდა ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც. მას სრულად მოვიყვანთ, მით უფრო, რომ იგი, როგორც ვიცი, ქართულად არც დაბეჭდილა:

— „ღრმად პატივცემულო კოლეგებო! მას შემდეგ, რაც კანონპროექტმა თითქმის დასრულებული სახე მიიღო, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის კანონი სსრ კავშირიდან რესპუბლიკების არგასვლის შესახებ. ეს ფანტასტიკური კანონია, რომელიც მიმართულია იმ რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც, გადის რა სსრ კავშირიდან, ამით სჩადის დანაშაულს.

ჩვენ ვთვლით, რომ კანონი უნდა იყოს ძალზე მარტივი და ნათელი: რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ ყველა საკითხი განხილული უნდა იქნეს ნორმალური მოლაპარაკების გზით. წინასწარვე — იმის გამო, რომ რესპუბლიკებს განსხვავებული ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული ტრადიციები აქვთ, — ყველა რესპუბლიკისადმი არ შეიძლება ერთნაირი მიდგომა. ყველა იმ პრობლემის განხილვის შედეგად, რომლებიც ამ პროექტშია ჩამოთვლილი, ორივე მხარე მიდის სავსებით ნორმალურ შეთანხმებამდე.

ყოველივე ამის გამო ჩვენი დეპუტატთა ჯგუფი ხმას მისცემს ამ კანონპროექტის წინააღმდეგ“.

თ. პ. ბუაჩიძის გამოსვლამ წაახალისა სიმპათიური დეპუტატი რაფიკ ნიშანოვი აქებს კიდეც თ. პ. ბუაჩიძეს, თუმცა რეგალიერების გარეშე არ ტოვებს მის გამოსვლას. აღნიშნავს, რომ ცალკეული ამხანაგები უაღრესად ემოციურად მიუდგნენ განსახილველ საკითხს, მაგრამ არ უნდა ვხელმძღვანელობდეთო უარყოფითი ემოციებით ამ კანონის მიღების დროს და „ამასთან დაკავშირებით უაღრესად პატივცემული დეპუტატის ბუაჩიძის ნებართვით მე მინდოდა არ დავთანხმებმოდი იმას, რაც მან თქვა ამ ტრიბუნიდან — თითქოს ჩვენ ვამზადებდით არგასვლის შესახებ კანონპროექტს. ეს ნათქვამი იყო ემოციური აღგზნების გავლენით“.

დაბოლოს, თავს ვეღარ იკავებს გამოხატოს დავალების შესრულების გამო გამოწვეული სიხარული შემდეგი შემაჯამებელი სიტყვებით: მე ვფიქრობ, რომ ჩვენ შემოქმედებითად და მომთხოვნად ვიმუშავეთ. კანონი, რომელსაც პირველად ვიღებთ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიაში, შესაძლებლობას იძლევა განვახორციელოთ ერთ-ერთი ძირეული პრინციპი ჩვენი კონსტიტუციისა — ერების თვითგამორკვევის უფლება თვით სსრ კავშირიდან გამოყოფამდე“.

მართლაც რომ, თუმცა, შესაძლებელი ყოფილა ფანტასტიკური კანონის არანაკლებ ფანტასტიკური განმარტება...

სერგო ჯორბენაძე.

ვინ გამოკვეგავს ქვეყანას?

სასურსათო პრობლემა ჩვენს ქვეყანას, ახლა მაჯლაჯუნასავით აწევს და სულს უხუთავს. მაღაზიების დაცარიელებული დახლები, ძვირი ბაზარი დროის სინამდვილედ იქცა. სამწუხაროდ, იმედიც არსაიდან ჩანს, 1985 წელში დაწყებულმა გარდაქმნამ უარეს დღეში ჩაგვაგდო, ახლა იმ დონეს მივტირით, რაც მაშინ გაგვაჩნდა. გარდაქმნამ ისედაც სუსტი ეკონომიკა ხომ კიდევ უფრო დაბზარა და დაასუსტა, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში კი ქაოსი და არეულობა დაამკვიდრა.

უჭირს ქვეყანას, გალატაკდა ეკონომიკა, უჭირს ხალხს, რომელთა საარსებო მოთხოვნილება ვერ კმაყოფილდება. უმდიდრესი რესურსების მქონე უზარმაზარი ქვეყანა — პურის მსოფლიო ბელელი ლუკმა-პურისათვის სხვის ხელებში შემყურეა. საკავშირო პრესაში ამასწინათ შემაძრწუნებელი ციფრები გამოჩნდა: საზღვარგარეთ ჩვენმა ქვეყანამ 44 მილიონი ტონა მარცვლეული უნდა შეისყიდოს.

იბადება კითხვა: აუცილებელია ეს თუ უბრალოდ, საშუალებების ხარჯვაა?

დავძენთ: ეს უჭკუობაა, დანაშაულია, ამას არავითარი გამართლება არ აქვს. ეს ცუდი და უყაირათო მეურნეობრობის შედეგია, რომელიც ჩვენში ოცდაათიანი წლებიდან დამკვიდრდა, როცა სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოვუცხადეთ ინდივიდუალურ, კერძო მეურნეობას, მოვსპეთ საშუალო და შეძლებული გლეხი, კულაკის იარლიყით ისინი საპყრობილეებშიც კი ჩავყარეთ და საკმოდაც ამოვზოცეთ. ნამდვილ პატრონს შევაძულეთ მიწა, დემიკოსი ა. ემელიანოვი გულისტკივილით ამბობდ

თანამედროვეობა და ისტორია შეულამაზებლად: ფიქრები ხმამაღლა

დაინტერესებისამებრ განვაგრძობთ გიორგი გაჩეჩილაძის წერილების ციკლს, რომლებიც შეეხება მის ამასწინანდელ მივლინებას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მის მიერ ვაშინგტონში კენანისა და ნიუიორკის საერთაშორისო ურთიერთობის ცენტრებში ნაკითხულ მოხსენებას — „ეთნოკრიზისები და საქართველოს პრობლემა". იმ დისკუსიების შესახებ, რომლებიც ქართველი კრიტიკოსის ამ მოხსენებას მოჰყვა, აგრეთვე მივლინებასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო გარემოებებს მკითხველი გაეცნობა მომდევნო პუბლიკაციებში.

2. ეთნოკრიზისები და საქართველოს პრობლემა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

თვალსაზრისი, რომელიც მინდა გაგიზიაროთ, პირადად მე თანამედროვე საზოგადოებრივ უნიკალურ შემთხვევად მესახება.

თქვენ იცით, რომ ისტორიაში არც არაფერი მომხდარა და არც ახლა ხდება რამე ისეთი, რაც კაცობრიობის ინტელექტს მეტნაკლებად არ განეკვრიტოს, არ ქცეულიყოს ადამიანთა ნათელხილვის საგნად, არ ჰყოლოდეს წინასწარმეტყველი.

ვინ მოთვლის, ამ სამოცდაათი წლის მანძილზე რა არ იქნა ნაგრძნობი და განცდილი? რამდენი რამ დაიწერა და ითქვა ტოტალიტარული რეჟიმების თაობაზე. ცნობილია, რომ მწერლობასა, პოლიტოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში პროგნოზირებულ იქნა ტოტალიტარული რეჟიმების თითქმის ყველა განგრეხნოული სიმპტომი. კაცობრიულმა ინტელექტმა საგანგებო ანალიზის საგნად აქცია ტოტალიტარული რეჟიმების კრიზისის ნიშნები — დაწყებული ეკონომიკური კრახიდან, გათავებული ეკოლოგიური კატასტროფებით.

პროფესიონალებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ ტოტალიტარული რეჟიმების დროს მცხოვრები საზოგადოების „ენობრივი შიზოფრენიის", როგორც ადამიანთა ენობრივი ცნობიერების რღვევის მომენტიც. საზოგადოებას, რომელმაც „კლასობრივი ჭრის" ცნება შეიმუშავა და ამ ცნების მომარჯვებით ხელი მიჰყო ადამიანთა სოციალური ფენების მთელი გენოფონდის გენოციდს, აუცილებლად უნდა შეჰყროდა აზრისა და ცნებების გადმოპირქვავების, ანუ, როგორც ოლივერ ჰოლმა უწოდა „ცნებოციდის" ვირუსი. ამ პროცესს უთუოდ უნდა მოჰყოლოდა ამგვარად დაავადებული საზოგადოებების მსოფლიო ოჯახიდან მოწყვეტის პერსპექტივა.

მაგრამ არსად, XX საუკუნის არცერთ ნათელმხილველს, არცერთ წინასწარმეტყველს, არცერთ მწერალს ზამბატინიდან — ორუელამდე, ჰაქსლიდან—შალამოვამდე, ბორხესიდან—მარკესამდე და თვით ისეთ დოკუმენტალისტამდე, როგორიცაა სოლჟენიცინი, აზრად არავის მოსვლია ეთქვა, რომ ერთ შშვენიერ დღეს უძველესი პრობლემა, რომლისგანაც ვერავითარ გამოსავალს ვერ იპოვის ტოტალიტარული რეჟიმი, სწორედ ეროვნული პრობლემა აღმოჩნდებოდა...

აი, რითაა საყურადღებო თვალსაზრისი, რომლის შესახებ აზრის გასაზიარებლად შევიკრიბეთ აქ. რა შეიძლება ითქვას ეროვნული მოძრაობის ხასიათზე საბჭოთა კავშირში?

როგორც ისტორიული პროცესი, რა თქმა უნდა, ეს მოძრაობა წინააღმდეგობრივია. ის ითავსებს როგორც დადებით, ისე უარყოფით ტენდენციებს. ეს მოძრაობა გადამწყვეტ როლს ასრულებს საბჭოთა იმპერიის რღვევის საქმეში, მაგრამ იგივე მოძრაობა წარმოშობს მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილ ეროვნულ-ეთნიკურ კონფლიქტებს. იმპერიის მხრივ ამ კონფლიქტების პროვოცირების მიზეზები ცალკე თემაა.

ამჯერად აღვნიშნავ ჩემს თვალსაზრისს მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ისტორიულ პროცესში ამ მოძძაობამ იმპერიის დამამხობელი მისია შეასრულოს.

ამ მიზნის ნაღლები დანაკარგებით განხორციელებისათვის ორი პირობაა დასაცავი; პირველი, ეროვნული მოძრაობა უნდა წარმართონ ისეთმა გონივრულმა ძალებმა, რომელთაც შეგნებული

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 168.

გიორგი გაჩეჩილაძე

ამერიკული დღიურიდან

„ისტორიის ალოგიგიაში" მარკ ბლოკი წერდა, რომ „ისტორია არის ადამიანთა შეხვედრა მარადისობის ფონზე". რაკი მსოფლიო ოჯახში ყოველი ერი შედის როგორც პიროვნება, შეიძლება ითქვას, რომ ისტორია არის ინდივიდი ერების შეხვედრა მარადისობის ფონზე. და როგორადაც უნდა დაშორდეს პოლიტიკა ეთიკას, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ დასავლეთის შეხვედრას თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებთან საფუძვლად დაედება არა ამ ერებისთვის იმედის გამაცრუებელი, არამედ ცივილიზაციის გლობალური კრიზისიდან გამომყვანი სამართლებრივი პრინციპები.

დასავლური პრესის მიხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს პრობლემების მიმართ დასავლეთში, და კერძოდ, შეერთებულ შტატებში, გაუგებრობათა ატმოსფერო სუფევს. ამგვარი ვითარება უარყოფითად მოქმედებს ქართულ პატრიოტულ მოძრაობაზე, მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე, ქართველი ხალხის მდგომარეობაზე.

ძირითადად ეს ეხება საქართველოსა და კავკასიაში მიმდინარე ეთნიკური კრიზისების ხასიათს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, მართალია, მთლიანად არა, მაგრამ ძირითადად მაინც, მხოლოდ ამ ინფორმაციას სჯერდება, რომელსაც საქართველოს შესახებ დასავლური პრესაში ნერგავენ თქვენთვის კარგად ცნობილი მაკომპრომეტირებელი ხმების გამავრცელებელი საგანგებო უწყებები.

საქმე ის არის, რომ ტერიტორია, რომელსაც საქართველო ეწოდება და სადაც მოსახლეობის 69 პროცენტი თავის თავს ქართველს უწოდებს, არასდეს არ დაუპყრია ქართველ ხალხს. ეს მისი ისტორიული მიწაა. პირიქით კი არის, ქართული მიწები მიკუთვნებული აქვთ რუსეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს.

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველომ დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიის 24 პროცენტი. რაც საქართველოს დარჩა, მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ხალხები, რომლებიც საქართველოში მოვდნენ ლტოვილების, სტუმრების, ან თანდათანობითი დასახლების ფორმით. ესენი არიან: სომხები, ბერძნები, ოსები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვები. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება აფხაზებს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში განასახიერებენ ქართულ-აფხაზური სახელმწიფოებრიობისთვის მებრძოლ ეთნოსს ქართული კულტურით, მატერიალური ძეგლებით, მენტალობით.

დღეს ქართული პატრიოტული მორრაობით შეშფოთებული ძალების მიერ ინსპირირებული ის აფხაზები, საქართველოს დამოუკიდებლობა რომ სოციალური უპირატესობის დაკარგად ესახებათ — მოითხოვენ საქართველოდან გამოყოფას და რუსეთთან შეერთებას, როგორც რუსეთის წიაღში მათი სოციალური უპირატესობის გარანტიის საწინდარს.

ეს ძალიან მძიმე და სათუო სატებიდან ეს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. საბჭოურ ეთნოკრიზისებზე როცა ვმსჯელობთ, წინასწარ დასკვნებამდე, ჯერ საკითხის არსში გარკვევა საჭირო.

ჩემი აზრით, აქ პასუხი უნდა გაეცეს სულ ცოტა სამ არსებითს კითხვას:

1. რა იწვევს ეთნოკრიზისებს?
2. როგორია მისი ხასიათი?
3. რა არის საჭირო მის დასაძლევად?

ამ კითხვების უგულვებელყოფას, ჩვეულებრივ, ხალხთა ბედიღბალში საბედისწერო შედეგები მოსდევს, რადგან ცრუ ლოზუნგების ანკეს წამოგებული ეს ხალხები ბრმა იარაღის როლს ასრულებენ დაპირისპირებულ ძალთა შექმნაში.

ოსური ეთნოკრიზისი ამ ფაქტის საუკეთესო ილუსტრაციაა.

მოგეხსენებათ, რომ ვოლგის-პირეთიდან დაძრული ირანული წარმოშობის ოსები ისტორიულად ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში და XIX საუკუნემდე ძალიან მცირე რაოდენობით იქნენ მიღებულნი კავკასიის სამხრეთის ანუ საქართველოს ფერდობზე. ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და თანაც საქართველოს ტერიტორიაზე, — ისტორიამ არ იცის.

და აი, 1922 წელს, საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისთანავე, საქართველოს ისტორიული მთლიანობისათვის ხერხემლის გადატეხის მიზნით, საბჭოურმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად ჩამოაყალიბა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ასე დაიწყო საქართველოს და მის ტერიტორიაზე გამოყოფილი ოსეთის ერთთბლივად გასაბჭოების სამოცდაათწლიანი პროცესი.

და მხოლოდ იმის წყალობით, რომ საკუთარი ისტორიული ცნობიერების მატარებელი ქართველი ხალხი არ დაემორჩილა სინთეზურ „საბჭოთა" ხალხად გარდაქმნის შლეგურ იდეას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შენარჩუნებულია ოსური ეთნოსი, ენა, სკოლები, თეატრი, ეროვნული ბიბლიოთეკა, გამომცემლობები.

და ეს იმ დროს, როდესაც, რეალურ, ჩრდილო კავკასიის ოსეთში რუსულმა ენამ, საბჭოურმა ცნობიერებამ პრაქტიკულად შთანთქა ოსური ენა და ცხოვრების სარბიელიდან განდევნა ოსური კულტურის ფენომენი.

მიუხედავად ამისა, ეთნოკონფლიქტების შექმნით დაინტერესებულთა ინსპირაციით, აი, სწორედ ამ სამხრეთ ოსეთის გარკვეულმა ჯგუფმა თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართულ პატრიოტულ მოძრაობას წაუყენა ოსური კულტურისა და ენის დისკრიმინაციის ბრალდება. ძლიერი მფარველებისაგან ინსპირირებულმა ამგვარი ოსების ჯგუფმა კიდევ უფრო ღრმად შეტოპა, და რაც 20-იან წლებში ყოველსშემძლე ბოლშევიკებმაც ვერ შეძლეს, იმის შეძლება მოისურვა. ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, მათ წამოაყენეს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე ჩრდილო და სამხრეთ ოსეთის გაერთიანების ფანტასტიკური პროგრამა.

ზოგიერთმა პერიოდულმა გამოცემამ ეს იდეა აიტაცა და გუნდრეკილ უკმის საქართველოს, როგორც „მცირე იმპერიის დემონტაჟის" შანსს. ამ იდეამ გაიონა დასავლეთის პრესაშიც. ასე ცხადება ანტიქართული მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.

გამოიკვეთა ტრაგიკომიკური სიტუაცია ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი „ენობრივი შიზოფრენიის" ყველა სიმპტომით. სიტყვა, როგორც საგნის აღმნიშვნელი, იქცა ამ საგნის საპირისპირო მნიშვნელობის აღმნიშვნელად.

თუ იმპერიულობა კაცობრიობას ესმის, როგორც სხვისი ტერიტორიის დაპყრობა, ჩვენს გარემომცველ ენობრივ ცნობიერებაში დაპყრობილი გამოცხადდა დამპყრობელად, ხოლო დამპყრობელი — თავისუფლებისათვის მებრძოლად. დაპყრობილი იქნა ისტორიული საქართველო და მის ცენტრალურ ნაწილს ეწოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამის შემდეგ საქართველოს

(გაგრძელება მე-5 გვ.).

29 აპრილს, დილის 2 საათსა და 30 წუთზე, საზეიმო ვითარების მსგავსად, თავი მოიყარა 20-25-მა კაცმა. აქ იყვნენ ბზარეულები, ლაქიები, კანცელარიის თანამშრომლები და ჰიტლერთან დაახლოებული პირები. ერვინ იაკუბეკმა, როგორც მრავალი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ჰიტლერს პირად მატარებელში და მასთან ერთად მივიდა ბომბსაფარში, მ. მუსმანოს უთხრა: „ჰიტლერს თავის მოკვლა გადაუწყვეტია და სურს, გამოგვეთხოვოს.

ჰიტლერმა ყველას მადლობა გადაუხადა სამსახურისათვის და თავისი უსიცოცხლო ხელი ჩამოართვა. ამის შემდეგ ჰიტლერმა ხელი მოაწერა თავის ორიგე ანდერძს და მეუღლესთან ერთად თავის ოთახში წავიდა.

ამ დროს ზოგი ლაპარაკობდა ახალი მთავრობის შექმნაზე, ადმირალი დენიცი იქნებოდა სახელმწიფოს პრეზიდენტი, ხოლო ჰეგელსი — იმპერიის კანცლერი. მაგრამ ეს ვერ განზორციელდა. ნიურნბერგის პროცესზე მ. მუსმანომ ჰკითხა დენიცს: სამხედრო პირი როგორ აღმოჩნდა პოლიტიკაში გარეული? დენიცმა უპასუხა: იგი პოლიტიკოსი არ არის, არამედ სამხედრო პირია და მან არაფერი იცის სახელმწიფოს მეთაურად მის დანიშვნაზე.

29 აპრილს ბომბსაფარში კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა სნაიპერები, ქუჩის მეორე მხრიდან — სასტუმრო „კაიზერჰოფისა" და პროპაგანდის სამინისტროს შენობებიდან პირდაპირ ესროდნენ იმპერიის კანცელარიის შენობას.

ამ დროს სამი „მკაცრი მამაკაცი" — კრებსი, ბუნგდორფი და ბორმანი, ცდილობდნენ განცდები ღვინით ჩაიხშოთ. პირველ ორს უკვე ალარ სჭირდებოდა სამხედრო გეგმების შედგენა, ხოლო ბორმანს, ნაცისტური პარტიის ტირანს, როცა პარტია ალარ არსებობდა, ამა, ვინღა უნდა ეწამებინა?! ისინი უგონოდ დათვრნენ და იქვე მისაღები ოთახში იატაკზე მიეყარნენ. არავინ არ აქცევდა მათ ყურადღებას. თვითონ ჰიტლერიც კი, რომელიც გადუწყვეტლივ მიმოდიოდა, ამ დამთვრალთა ფეხებს ყურადღებით გადაბიჯებდა ხოლმე, რომ არ შეეწუხებინა.

ბომბსაფარში უკვე ალარაფერი იყო გასაკეთებელი. ცნობები არსაიდან არ მოდიოდა. ჰიტლერი გადაწყვეტლივ მიმოდიოდა, შემოვდის რაღაც გაუგებარ ფრაზებს ესროდა, ხან ჰეგელსის ბავშვებთან ერთობოდა. ყველაზე უფრო ომისი ეშინოდა, რომ რაიმე წამალი არ გაეკეთებინათ, ბომბსაფარიდან არ გაეყვანათ და მოწონაღმდეგეთვის არ ჩაებარებინათ. მაგრამ ახლა ამის საშიშროება ნაკლები იყო. რამდენიმე დღის წინ მან დოქტორ მორელიც კი მოიშორა, ადამიანი, რომელსაც მანამდე ჰიტლერი განსაკუთრებით ენდობოდა. ერთხელ, როდესაც მორელს მისთვის უნდა გაეკეთებინა მორიგი ნემსი, ჰიტლერმა უთხრა: „თავი დამანებეთ, მორელ! თქვენ გინდათ მორფი გამიკეთოთ და როდესაც გრძნობას დაკარგავ, გამიყვანოთ აქედან და მტერს ჩააბაროთ ჩემი თავი".

ახლა ჰიტლერი მხოლოდ სკვდილზე ლაპარაკობდა. იუნგემ მას ერთხელ უთხრა: „ჩემი აზრით, ბელადები ბრძოლაში, თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად უნდა იმოკვდნენ". ამაზე ჰიტლერმა უპასუხა, რომ აქ რისკი მეტისმეტად დიდია: იგი შეიძლება დიპრას და ტყვედ ჩავარდეს, ხოლო შემდეგ აღმოჩნდეს სასირცხვილო, დამცირებულ მდგომარეობაში მტრის ხელში.

ერთხელ ყველამ შენიშნა, რომ ბომბსაფარში თამბაქოსა და კვამლის სუნი დადგა. 12 წლის განმავლობაში არავის გაუბედია ჰიტლერის თანდასწრებით თამბაქო გაებოლვებინა. ახლა კი ამას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. ევა ბრაუნიც კი, რომელიც ადრე არ ეწეოდა, თავისუფლად აბოლებდა სიგარეტს. ფიუერერის ალარავის ეშინოდა და არც ის უწევდა ვინმეს წინააღმდეგობას.

ამ დროს ბომბსაფარში მოვიდა არტურ აქსმანი და ჰიტლერს დაახლოებით ერთ საათს ესაუბრა, მაგრამ სამხედრო საქმეებზე არ ლაპარაკობდნენ. ჰიტლერი უკვე აღარ ფიქრობდა ჯარისკაცებზე, რომლებიც მის გვერდით მიმოდიოდნენ ცერემონიალური ნაბიჯებით. იგი ყველასგან მიტოვებულად გრძნობდა თავს. მართლაც, ჰიტლერი დატოვეს იმათ, ვისაც იგი ყველაზე უფრო ენდობოდა: ჰეინრიხმა, ჰიმლერმა, ფიუგელაინმა, შპეერმა და სხვებმა. აქსმანმა მ. მუსმანოს უთხრა: „ერთი რამ უეჭველი იყო ჰიტლერისათვის, რომ დადგებოდა დრო, როცა სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა".

1945 წლის 30 აპრილს ჰიტლერი უკანასკნელად მიუჯდა სუფრას, სადაც იყვნენ ევა ბრაუნი, მისი მდივნები, ვეგეტარიანული საჭმელების მზარეული და სხვანი. ყველა მოწყენილი იყო, საუბარი არ გამოდიოდა. დაახლოებით 3 საათზე ჰიტლერი გამოჩნდა მისაღებში თავის მეუღლესთან მკლავგაყრილი. იგი ახლა კიდევ უფრო ფერმკრთალი იყო. მავი შარვალი და ფორნის ხაკისფერი კიტელი ეცვა.

თუმცა არავინ ამბობდა, რომ ეს უკანასკნელი გამოთხოვება იყო, მაგრამ მისაღები მაშინვე გაიცალა ხალხით. ახლა ჰიტლერი ემშვიდობებოდა თავის ახლობლებს. ამ დროს ჰეგელსის მეუღლე მოულოდნელად მიეკარდა ჰიტლერს, მუხფერმა ერიკ კემპკამ ცხედრებს ბენზინი გადასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. ჰიტლერის პირადი დაცვის ჯარისკაცებმა ნახეს ევა ბრაუნისა და ჰიტლერის ცხედრები. ღამის პირველის ნახევარზე იმპერიის კანცელარიის საგუშაგოს უფროსი რატენგუბერი ოთვიდა რამდენიმე სანდო პირთან ერთად და უბრძანა წაეღოთ ჰიტლერისა და ევა ბრაუნის ცხედრები და დაესაფლავებინათ. მაგრამ სად? არავის უთქვამს. დაახლოებით ნახევარ საათში მოვიდა დაცვის ოფიცერი კოლკი და რატენგუბერს მოახსენა, რომ მისი დავალება შესრულებულია.

დაახლოებით ამ დროს ჰეგელსმა უკარნახა ჰერდა კრისტიანს წერილის შინაარსი, რომელსაც ხელი მოაწერეს ჰეგელსმა, კრებსმა და ბუნგორფმა. ეს წერილი, რომელიც ჰიტლერის გარდაცვალებას იტყობინებოდა, გათვალისწინებული იყო საბჭოთა არმიის სარდლობისათვის და შეიცავდა დაზავების თხოვნას. გენერალი კრებსი, რომელიც ომამდე გერმანიის სამხედრო ატაშე იყო მოსკოვში, თვითდროშიანი ავტომობილით გაემგზავრა საბჭოთა ჯარების ფრონტის ხაზისაკენ, რიის ბაღში, სადაც ჰიტლერი და ევა ბრაუნი დაწვეს. როდესაც შვეპერმანი ბენზინს ამზადებდა ჰეგელსისა და მისი მეუღლის ცხედრების დასაწვავად, პისტოლეტის ხმა შკვდარი ჰიტლერი. 6 თვის განმავლობაში ათჯერ ესაუბრა აქსმანს მ. მუსმანო. არც ერთ შემთხვევაში ჰიტლერის სიკვდილზე მის ჩვენებაში, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი არ ყოფილა.

ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, ემილ ლუდვიგი, შესაძლებლად თვლის, რომ ჰიტლერს ჰყოლოდა ორეული, რომელიც მოკვდა და დაწვეს. მ. მუსმანოს აზრით, არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ჰიტლერს ორეული ჰყავდა. ეს ვარაუდი იმის ნიშაავს, რომ ჰიტლერის ეს ორეული უნდა გასცნობოდა ბომბსაფარში მყოფთ და ყველანი დაერწმუნებინა, რომ ეს ნამდვილი ჰიტლერია.

გარდა ამისა, ეს ნიშნავდა, რომ ბომბსაფარში ჰიტლერი შეეცალა მის ორეულს იქ მყოფთა შეუმჩნევლად, ხოლო ჰიტლერი მარტო, უთანხლებოდ გასულიყო ბომბსაფარიდან, გადასულიყო საბჭოთა ჯარების ფრონტის ხაზზე, იქიდან გაქცეულიყო უცხოეთში და ეცხოვრა იქ ისე, რომ არავის გაეგო ეს. მაგრამ ბომბსაფარში შესვლა და გასვლა შეუძლებელი იყო გულმოდგინე კონტროლის გამო. ივარაუდო, რომ ადოლფ ჰიტლერს შეეძო გუშაგის წონ გაეკლო ორი პიროვნების სახით და ეს გუშაგს არ შეემჩნია, ეს იმდენად უსაფუძვლო და დაუჯერებელია, როგორც დაუჯერებელია ის, რომ ევა ბრაუნს შეეძლო იმდენად შემცდარიყო, რომ გამხდარიყო უცნობის, ჰიტლერის ორეულის მეუღლე, გაეტარებინა მასთან რამდენიმე დღე და ამას ვერ მიმხვდარიყო.

მ. მუსმანოს არაერთხელ ჰქონია საუბარი ჰანა რაიჩთან. მან აბსურდად ჩათვალა ჰიტლერის გადარჩენა. ჰიტლერის ფიზიკური მდგომარეობა, თქვა მან, მას საშუალებას ვერ მისცემდა გასულიყო ბომბსაფარიდან. თვითმფრინავი „არადო-96", რომლითაც ჰანა რაიჩი და ფონ გაიმი ბერლინიდან გაფრინდნენ, უკანასკნელი თვითმფრინავი იყო...

ამრიგად, 29 აპრილის შემდეგ თვითმფრინავი არ გაფრენილა ბერლინიდან, ხოლო 30 აპრილს ჰიტლერი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ბომბსაფარში იმყოფებოდა. იქნებ მანქანით გაიქცა? ზემოხსენებული კემპკა არა მარტო მისი შოფერი, არამედ იმპერიის კანცელარიის გარაჟის უფროსიც იყო. მან თქვა, რომ დაბომბვის შედეგად ყველა მანქანა გაფუჭდა...

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სავსებით ამკარად და არაორაზროვნად დასტურდება, რომ ჰიტლერის სიცოცხლე ბერლინში, იმპერიის კანცელარიის ბომბსაფარში დასრულდა, დაასკვნის მაიკლ მუსმანო.

ილია ტაბაღუა.



დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 168, 170, 173.

ფიურერის უკანასკნელი დღეები

აი, რა გედი ეწია „ნომერ პირველ დაინაშაულეს"

გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" ჩვენი რეგიონის ერთ-ერთი უძველესი ორგანოა. ბევრი ხანე ლოგადი ფურცელი ჩაუწერია მას ხალხთა მეგობრობის მატიანეში. მაგრამ ამ ბოლო ბანს ქართული მოსახლეობა აზარად უკმა ყოფილია ზოგიერთი პუბლიკაციით და საერთოდ გაზეთის „ტონალობით".

გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტმა გურამ ხარაიძემ ინტერვიუ ჩაუმართა „ლენინსკოე ზნამიას" ახალ რედაქტორს ლეონიდე პროდანიჩუს.

— **ჩვენი საუბრის დასაწყისში თქვენ რამდენიმე წინადადება ქართულად წარმოთქვით. სად ისწავლეთ ქართული? აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი კითხვა. როგორ გგონია, არაქართულმა მოსახლეობამ, თუნდაც იმ ქვეყნის პატივისცემის გამო, სადაც ცხოვრობს, უნდა იცოდეს თუ არა მკვიდრი მოსახლეობის ენა?**

— როგორ გითხრათ, ჯერჯერობით ქართული რიგიანად არ ვიცი. როგორც იტყვიან, გაჭცეულს მოვაბრუნებ. რაც უნდა იყოს, თითქმის ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველო დავტოვე. ჰოდა, ახლა, როცა დავბრუნდი, აღმოვაჩინე, რომ მთლად არ დამვიწყებია. დიდი მადლობა ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მასწავლებლებს, რომელიც 1970 წელს დავამთავრე. უნდა გითხრათ, რომ ის დრო სიყვარულით მაგონდება — გულითადნი, სტუმართმოყვარენი არიან ქუთაისელები, დაუშრეტელია მათი ოპტიმიზმი.

რაც შეეხება მეორე კითხვას, ე. ი. ასე ვიტყოდი: თუ კაცი საქართველოში ცხოვრობს, რაღა თქმა უნდა, ქართული ენა უნდა იცოდეს, ოღონდ ამ საკითხში დიქტატი არ შეიძლება: ესაოდა, ეროვნული ხარ და მორჩაო. უნდა დავარწმუნოთ კაცი: ისმაგად აიაზღაურებს ქართული ენის შესწავლაზე დახარჯულ შრომას იმით, რომ ქართველი ერის ბედ, და განუმეორებელ კულტურას ეზიარება.

და კიდევ ერთი რამ: უნდა დავიხმაროთ; მეტი ლექსიკონები, სახელმძღვანელოები, სასაუბროები გამოვცეთ. მე მაგალითად, ჯერჯერობით თბილისს ვერც ერთ მაღაზიაში ვერ მივაგენი ასეთ წიგნებს, თუმცა ლამის ყოველდღე შევივლი ხოლმე.

— **არცთუ იშვიათად „ლენინსკოე ზნამიაში" გამოჩნდება ხოლმე მასალები, რომლებიც სახელს უტეხენ ქართველ ერს, არაობიექტურად, ტენდენციურად აშუქებენ 9 აპრილის ამბებს. როგორ რეაგირებს რედაქტორატი ასეთ გამოსვლებზე? ეს ხომ შუღლს თესავს რესპუბლიკის მოსახლეობასა და ხამხედრო უწყებას შორის?**

— მე მგონია, თქვენ შეკითხვას სიზუსტე აკლია, ამ ბოლო 2-3 თვის მანძილზე გაზეთში ამგვარი მასალა არ დაბეჭდილა, და ჯარწმუნებთ, არც დაიბეჭდება. არავის არა აქვს უფლება შუღლი ჩამოგდოს ხალხებს შორის, ჩირქი მოსცხოს ერს, მის კულტურას, მის ტრადიციებს. თუმცა, უნდა ვაღიარო, ამგვარი მასალები მოაქვთ, მაგრამ რედაქციაში ამ მხრივ ურყევი აზრი აქვთ — გაზეთის ფურცლები ექსტრემისტული შეხედულებების ადგილი არ არის.

რაც შეეხება 9 აპრილის ამწინათ ბრძანა ტელევიზიით გამოსვლისას მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსიმ, დაე მოვიდეს სუფევა მშვიდობისა...

— **ერთი რამ გვაინტერესებს: შესაძლებელია, ან საერთოდ საჭიროა საქართველოში ინტერფრონტი? თქვენ არცთუ ცუდად იცნობთ ჩვენს რესპუბლიკას. როდესმე თუ გიგრძნიათ რაიმე მტრული დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან?**

— პირველ კითხვაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს. ასეთი ორგანიზაციის შექმნა, თანაც ისეთი შოვინისტური მიზნებით, როგორიც გამოცხადებული იყო გაზაფხულზე გავრცელებულ ანონიმურ ფურცლებში, სრულიად შეუფუნარებლად მომაჩნია. ეს კი არ გამოაკეთებს რესპუბლიკაში ვითარებას, პირიქით, კიდევ უფრო შეურიგებლად დაუპირისპირებს ერთმანეთს ადამიანებს კონფლიქტი ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ელფერს იძენს. მე მგონია, აქ ერთადერთი გამოსავალია: ამ ჩვენს შფოთიან დროში უფრო კეთილნი, ერთმანეთისადმი უფრო გულისხმიერნი უნდა ვიყოთ.

—„**ლენინსკოე ზნამიას" ინიციატივით თუ ლოცვა-კურთხევით იქმნებოდა სსრკ ეროვნალისტთა კავშირის „ეროიონული ორგანიზაცია ხალხების უფლებებით. ამ ცოტა ხნის წინ ხაუბარში, რომელიც „ოლოდიოე გრუზიიმ" გამოაქვეყნა, თქვენ განმარტეთ თქვენი პოზიცია, „ეროიონული ორგანიზაციის სტრუქტურა და მიზნები. კიდევ ერთხელ ხომ არ მოგვახსენებდით თქვენს მოსაზრებას?**

— პრინციპულად, ამის თაობაზე უკვე ყველაფერი ითქვა, მთავარი ის არის, რომ ჩვენ შევიქმენით დაგვეძლია ორმხრივი უნდობლობა, დაგვესახა შეხების კონტურები ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ელფერის ეროვნული ნიშნის მხედველობით.

რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან რაიმე მტრულ დამოკიდებულებას, ეს არასოდეს არ მიგრძვნია. მაგრამ ეს ძალზე ფაქიზი და საჭოთირო საკითხია. მაგალითად, ერთხელ ასეთ ფაქტს შევესწარი. მაღაზიაში წაკიბკლავდნენ გამყიდველი და მყიდველი — ქართველი და რუსი. ჯერ კიდევ ორი-სამი წლის წინათ ეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო კონფლიქტი იქნებოდა. დღეს კი, როცა ასე მოიკიდა ფეხი ერთმანეთისადმი უნდობლობამ, კაცმა არ იცის, როგორი იქნება ადამიანების რეაქცია. ეს უმარტივესი ყოფითი ფაქტი ბევრ საკითხში, შევთანხმდით, ვიმუშაოთ მჭიდრო კონტაქტით. ფ. ა ქ, საგანგებოდ მინდა აღვნიშნო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და მისი თავმჯდომარის ნიკა ჩერქეზიშვილის კეთილი ნება, რომელმაც ბევრი რამ იღოხა ურთიერთგაგების მისაღწევად. სხვათა შორის, მე უკვე დაწერილი მაქვს განცხადება, სადაც ვითხოვ მიმიღონ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრად. ვიმედოვნებ, გამგეობა დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ გაზეთი „ლენინსკოე ზნამია" გარკვეულწილად მოწყვეტილია ხალხებიდან ეს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა. საბჭოურ ეთნოკრიზისებზე როცა ვმსჯელობთ, წინასწარ დასკვნებამდე, ჯერ საკითხის არსში გარკვევა საჭირო.**

ჩემი აზრით, აქ პასუხი უნდა გაეცეს სულ ცოტა სამ არსებითს კითხვას:

1. რა იწვევს ეთნოკრიზისებს?
2. როგორია მისი ხასიათი?
3. რა არის საჭირო მის დასაძლევად?

ამ კითხვების უგულვებელყოფას, ჩვეულებრივ, ხალხთა ბედიღბალში საბედისწერო შედეგები მოსდევს, რადგან ცრუ ლოზუნგების ანკეს წამოგებული ეს ხალხები ბრმა იარაღის როლს ასრულებენ დაპირისპირებულ ძალთა შექმნაში.

ოსური ეთნოკრიზისი ამ ფაქტის საუკეთესო ილუსტრაციაა.

მოგეხსენებათ, რომ ვოლგისპირეთიდან დაძრული ირანული წარმოშობის ოსები ისტორიულად ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიაში და XIX საუკუნემდე ძალიან მცირე რაოდენობით იქნენ მიღებულნი კავკასიის სამხრეთის ანუ საქართველოს ფერდობზე. ოსეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო და თანაც საქართველოს ტერიტორიაზე, — ისტორიამ არ იცის.

და აი, 1922 წელს, საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისთანავე, საქართველოს ისტორიული მთლიანობისათვის ხერხემლის გადატეხის მიზნით, საბჭოურმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოს ტერიტორიაზე ხელოვნურად ჩამოაყალიბა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ასე დაიწყო საქართველოს და მის ტერიტორიაზე გამოყოფილი ოსეთის ერთთბლივად გასაბჭოების სამოცდაათწლიანი პროცესი.

და მხოლოდ იმის წყალობით, რომ საკუთარი ისტორიული ცნობიერების მატარებელი ქართველი ხალხი არ დაემორჩილა სინთეზურ „საბჭოთა" ხალხად გარდაქმნის შლეგურ იდეას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შენარჩუნებულია ოსური ეთნოსი, ენა, სკოლები, თეატრი, ეროვნული ბიბლიოთეკა, გამომცემლობები.

და ეს იმ დროს, როდესაც, რეალურ, ჩრდილო კავკასიის ოსეთში რუსულმა ენამ, საბჭოურმა ცნობიერებამ პრაქტიკულად შთანთქა ოსური ენა და ც

უცხოეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური პორტრეტის შტრიხები

იონ ილიესკუ: დისიდენტი, თუ...

რუმინეთის ბოლო ათწლეულების ისტორია დრამატული მოვლენებით არის აღსავსე. 1989 წლის დეკემბერში რუმინელმა ხალხმა დაამხო დიქტატორ ნ. ჩაუშესკუს რეჟიმი, 1990 წლის მაისში კი ახალი პრეზიდენტი იონ ილიესკუ აირჩია. არჩევნები ჩატარდა, სამართლიანობამ გაიმარჯვა, მაგრამ კითხვები დარჩა, თუმცა ყველაფერს მივყვეთ თანმიმდევრობით.

იონ ილიესკუ 1930 წლის 3 მარტს დაიბადა ოლტენიცეში, რკინიგზის მუშების ოჯახში. მამამისი, მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მეორე მსოფლიო ომის შუა პერიოდში, გეორგე გეორგიუ-დეჟთან უთანხმოების გამო 1944 წელს გარიცხეს რუმინეთის კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

წმინდა სავას სახელობის ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ილიესკუმ სწავლა განაგრძო ჯერ ბუქარესტის პოლიტექნიკურ, შემდეგ კი მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში (ჰიდროენერგეტიკის ფაკულტეტი). 1955 წელს მუშაობას იწყებს ენერგეტიკის დარგში გამოკვლევისა და პროექტირების ინსტიტუტში ინჟინერ-დამპროექტებლად. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური ტიპის დაწესებულებებში ეკავა თანამდებობები, იგი, როგორც წესი, დემოკრატიზმ, აზრის თავისუფლებისა და გამოხატვაზე თავისი წარმოდგენების შესაბამისად მოქმედებდა. 60-იან წლებში რუმინეთმა დასავლეთის მიმართ კარ-განსხლობის, ეკონომიკური მოდერნიზაციისა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებში დამოუკიდებლობის პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამ ვითარებაში ილიესკუ აირჩიეს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის პირველ მდივნად.

1971 წლიდან ი. ილიესკუს პროპაგანდის დარგში რუმინეთის კომუნისტური პარტიის მდივნის პოსტი ეკავა. ნ. ჩაუშესკუსთან უშუალო კონტაქტში ყოფნამ დიქტატორთან უცილობელი კონფლიქტი გამოიწვია. იმ დროს ნ. ჩაუშესკუმ წამოიწყო კონტრშეტევა, რომელიც საზოგადოებაში მოდერნიზაციისა და დემოკრატიზაციის დასახული კურსის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩაუშესკუმ ტრადიციული კომუნისტური პოლიტიკის, „კულტურული რევოლუციისა" და საკუთარი კულტის დამკვიდრების გეზი აიღო. პარტიულ-სახელმწიფო ელიტიდან გამოდევნილი ი. ილიესკუ დანიშნეს ტიმიშის მაზრის მდივნად პროპაგანდის დარგში, შემდეგ კი იასის მაზრის პარტორგანიზაციის პირველ მდივნად.

ი. ილიესკუს მოღვაწეობა ტიმიშოარასა და იასში რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ნიშნით ხასიათდებოდა — იგი ყველინდებურად



1989 წლის 22 დეკემბერს ი. ილიესკუმ სახელმწიფო ხელისუფლების ახალი ორგანოს — ეროვნული ხსნის ფრონტის საბჭოს სახელით გამოაცხადა ძველი რეჟიმის ხელისუფლების ყველა სტრუქტურის საბოლოო დაშლა, ერთადერთი პარტიის პრინციპის უარყოფა, „რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის" სახელწოდების გაუქმება. მანვე ხაზი გაუსვა დემოკრატიის, თავისუფლებისა და ადამიანური ღირსების პრინციპების საფუძველზე საზოგადოების გარდაქმნის, საბაზრო ეკონომიკაზე, პოლიტიკურ პლურალიზმზე გადასვლის და ადამიანის უფლებების პატივისცემის აუცილებლობას.

ი. ილიესკუ აირჩიეს ეროვნულ ხსნის ფრონტის საბჭოს თავმჯდომარედ, 1990 წლის თებერვლის პირველი რიცხვებიდან კი ეროვნული თანხმობის დროებითი საბჭოს თავმჯდომარედ...

ი. ილიესკუს რუმინეთის პრეზიდენტად არჩევა მისი პოლიტიკური კარიერის გვირგვინია. მაგრამ ამ ბოლო დროს უცხოურ და შესაბამისად რუმინულ პრესაში გაჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც



ბევრ ეჭვს ბადებს. უეცრად იგი ლერძის ირგვლივ იწყებს ბრუნვას. იოგს ცხვირ-პირს მეიდროდ უფარავს ნილაბი, რათა პაერის მიწოდებას შეუშალოს ხელი. მაგრამ იგი არ იგუდება. წამიერად ანელებს გულისცემას 74-დან 52 დარტყმამდე წუთში, შემდეგ ისევ აჩქარებს. ხელის კანის მცირე მონაკვეთზე სხეულის ტემპერატურას 19 გრადუსით ზრდის. ამ და სხვა „სასწაულებს" თანამედროვე აპარატურა ადვილად ხსნის.

ჯადოქრის სახელად ნაცნობი სვამი რაო. საქვეყნოდ ცნობილი ინდოელი იოგი 65 წლისაა, მაგრამ უფრო ახალგაზრდად გამოიყურება. მაღალი, ტანადი, ჭკვიანი, კეთილი და წყნარი თვალებით, თავის უნიკალურ შესაძლებლობებს მარტივად ხსნის: „ყველაფერს, რაც ჩემს ორგანიზმში ხდება, გონება მართავს".

მასთან შეხვედრა ადვილი არ არის, ჩვეულებრივ იოგები თავს არიდებენ საერო ფუსფუსს და სადმე მიმალაიში განმარტოვდებიან ხოლმე. წმინდა ქალაქ რიშიკეშში, სადაც დიდი განგი მიმალაიდან ველზე ჩამოედინება, ხვდება თავის სტუმრებს სვამი რაო.

ინდოეთის უმაღლესი კასტის ბრამინთა ოჯახის წარმომადგენელი სვამი რაო მიმალაიში აღზრდა. თეთრწვერა ბრძენთა ხელმძღვანელობით სწავლობდა უძველეს სანსკრიტულ ტექსტებს, შემდეგ დაამთავრა ოქსფორდის უნივერსიტეტი ინგლისში და 60-იანი წლების დასასრულიდან ძირითადად ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, სადაც მიმალაის იოგის საერთაშორისო ინსტიტუტი დააარსა.

— სიტყვა იოგა სანსკრიტიდან ითარგმნება, როგორც „კავშირი, ერთიანობა", და მე მსურს ძველთა სიბრძნე თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს დავუკავშირო,—ამბობს სვამი რაო.

რა შეუძლია გამოცდილ იოგს? სრულად გააკონტროლოს თავისი ორგანიზმი, მასში მიმდინარე ყველა პროცესი. შეუძლია დიდხანს

სტუმრად იოგთან

შეიკავოს სუნთქვა და შეაჩეროს გულისცემა, ნებისყოფის დაძაბვით მოიხსნას ტკივილი, გადაიტანოს ექსტრემალური ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვები და მრავალი სხვა, რაც ადმოსავლური ზღაპრების სასწაულებს უფრო წააგავს, მაგალითად, ცნობილი იოგი დაჯიგირი, რომელიც 1981 წელს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლო 15 წელიწადი ხელებზე იდგა. ექიმები მას ორივე ფეხის ამპუტაციით ემუქრებოდნენ, მაგრამ მოხუცმა, რომელმაც ნებაყოფლობით იტვირთა ეს წამება, გაუძლო გამოცდას. იოგ რამანანდას ისეთი მაგარი თითები ჰქონდა, რომ მაკრატელივით ხმარობდა მათ. არსებობს ამ სწავლების რამდენიმე დონე და მიმართულება, რომლებსაც საბოლოო მიზნამდე მიჰყავს ადამიანი—ფიზიკური, გონებრივი და სულიერი სრულყოფის მიღწევა ფიზიკური ვარჯიშების, მედიტაციის, ასკეტიზმის, ცოდნის და ოკულტიზმის გზით. მისი უმაღლესი დონეა—რაჯა-იოგა, ანუ „სამეფო იოგა". იმ რჩეულთ, ვინც მას დაეუფლა, მიაწერენ სულის დიდ ძალას, საგნების არსში მისტიკური წვდომის, მომავლის წინასწარმეტყველების უნარს.

ერთ-ერთი ასეთი რჩეულთაგანია სვ

მი რაო. იგი საოცრად უბრალოა ურთიერთობაში. როცა გაიგო, რომ მის წინაშე საბჭოთა ჟურნალისტები არიან, იოგმა თქვა: — ვიცი, საბჭოთა კავშირში იოგას ბევრი მიმდევარი ჰყავს. მაგრამ ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ აუცილებელია გამოცდილი დამრიგებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვარჯიში შეიძლება მხოლოდ ზიანიანი იყოს. საერთოდ იოგა არ არის ყველა ავადმყოფობისა და სიძნელის პანacეა. ყოველდღიური ოცწუთიანი უბრალო ვარჯიშიც კი სწორ სუნთქვასთან და რაციონალურ კვებასთან ერთად ფორმის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. იოგათი ვარჯიში კი, რომელიც საკუთარი თავის და გარემომცველი სამყაროს შეცნობის, ორგანიზმის დაცვის სისტემის შექმნის უნიკალური გზაა, მუდმივად და დაუღალავად არის საჭირო.

იოგას მიმალაის ინსტიტუტში სვامი რაოს ხელმძღვანელობით შემუშავებულია სტრესთან ბრძოლის ხუთდღიანი პროგრამა. თავდაპირველად პაციენტი თანამედროვე სამედიცინო აპარატურის მეშვეობით გადის ტესტირებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს სტრესულ სიტუაციებზე მისი რეაქციის ფიზიკურ-ფიზიკური თვისებურებები. შემდეგ სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მიხედვით, რომელსაც გამოცდილი დამრიგებელები ხელმძღვანელობენ, შეიძლება სტრესის მართვის კურსის ათვისება. მეთოდისტები ასწავლიან პაციენტს მარტივი ვარჯიშების გარკვეულ კომპლექსს, გამოუწერენ დიეტას, აჩვენებენ მედიტაციის საფუძვლებს. შედეგები განსაცვიფრებელია. კურსგავლილნი იკურნებიან მაღალი არტერიული წნევისაგან, თავის ტკივილისა და გულის შეტევებისგანაც კი.

— ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ იოგის სწავლება მიმართულია ადამიანის შიგნით, რომელსაც გარემომცველი სამყაროსგან გაუცხოება სურს. ამ შენიშვნაზე სვامი რაო პასუხობს:

— თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია განცალკევებით ცხოვრება. თანამედროვე კავშირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პირობებში მანძილი კონტინენტებს შორის შემცირდა. და დედამიწა თითქოს დაპატარავდა. ჩვენ უნდა ვეზიაროთ თანარსებობის, მშვიდობის, სიყვარულისა და საყოველთაო ძმობის მეცნიერებას. მარნეულის რაიონი და კიდევ ზოგიერთი სხვა რაიონი ამ მხრივ ჯერჯერობით საქართველოში იშვიათი გამონაკლისია. შეხედეთ რა ხდება: რესპუბლიკურ დონეზე ხელმძღვანელობა მხარს უჭერს გლეხთა თვითმოქმედებას, ადგილებზე კი მას ხელოვნურად ებრკოლებენ. რაც უფრო ახლოს მივდიოვართ მიწასთან, უფრო ძნელდება საქმე. ეს გასაგებიცაა, მეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელი კვლავაც ებღაუჭება წარსულს, ესწრაფვის ყველაფერი მათ ხელში იყოს, სურთ დარჩნენ მონოპოლისტებად. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა მიწა დაუბრუნდეს იმას, ვინც მას მოუვლის და დაამუშავებს. ამ შემთხვევაში უნდა დავეყრდნოთ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას. მაგალითად, ბულგარეთში ყველა ოჯახს შეუძლია იყიდოს იმდენი მიწა, რამდენიც სურს, მხოლოდ ნუ მოაცდენს მას. რიგ ქვეყნებში მიწის საკუთრებას, არ ახლავს მისი გაყიდვის უფლება. ამით გამორიცხულია მიწიან სპეკულაცია, რამაც

«ტერორიზმის ხლართებში»

ათიოდე წლის წინათ, როდესაც საერთაშორისო ტერორიზმმა მეტად სახიფათო სახითა და გაქანება შეიძინა (მისი მსხვერპლი კინალამ რომის პაპი გახდა, ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯალმა ლერ სტერლინგმა გამოაქვეყნა სენსაციური წიგნი — „ტერორიზმის ხლართებში", რომელშიც ამტკიცებდა, რომ ტერორისტულ საქმიანობას აქტიურად აფინანსებენ და წარმართავენ საბჭოთა კავშირის და სხვა სოციალისტური ქვეყნების სპეცსამსახურები. მაშინ ამ წიგნმა საბჭოთა ოფიციალური წრეებისა და შესაბამისად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აღშფოთება გამოიწვია — კასტერლინგისა და მისი ნაშრომისათვის შეურაცხმყოფელი ეპითეტები არ დაუშურებიათ. მაგრამ, დრონი მეფობენო...

როგორც დასავლეთგერმანული გაზეთი „ველტი" ამტკიცებს, აღმოსავლეთგერმანია ლიბიის სახელმწიფო ტერორიზმის ცენტრი ყოფილა — პონეკერისა და სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის მილკეს (82 წლის მილკე ორიოდე დღის წინ დაუპატიმრეს და ბრალდებად წაუყენეს ტერორისტული ჯგუფებისთვის ხელის შეწყობა). ბრძანებით ლიბიელ ტერორისტებს შეეძლოთ გამოეყენებინათ აღმოსავლეთ ბერლინი დასავლეთში აფეთქებებისა და მკვლელობების მოსამზადებლად და განსახორციელებლად. ახლა გაზეთის განკარგულებაშია სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დაცული მასალები დასავლეთ ბერლინში მდებარე დისკოტეკის „და ბელის" წინააღმდეგ დივერსიის მოწყობის შესახებ (1986 წლის 5 აპრილს დისკოტეკაში აფეთქების შედეგად დაიღუპა 3 და დაიჭრა 200 კაცი). ამ მასალების თანახმად, სამინისტრომ ჯერ კიდევ 20 მარტს კონკრეტულად იცოდა, რომ ლიბიის სახალხო ბიურო (საელჩო) დასავლეთ ბერლინში აფეთქებას გეგმავდა. მანამდე, 12 თებერვალს გდრ-მ გამოუწერა ვიზა ლიბიელ მუსმაბ აბულგაზემს, რომლის თანაშემწე პალესტინელი იუსეფ სალამი სახალხო ბიუროში მუშაობდა. სამინისტროში ორივე რეგისტრირებული იყო, როგორც მკვლელი, და მათ მისცეს მეტსახელები, შესაბამისად „დერვიში" და „ნური". 1986 წლის 25 მარტს ლიბიელმა მუსმაბ ელ-ალანანმ „დიპლომატიური კურიერის" პასპორტით, სახალხო ბიუროს სამსახურებრივი მანქანით დასავლეთ ბერლინში ჩაიტანა 7 ხელყუმბარა, 8 პისტოლეტი და 2 ავტომატი. სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო კონტროლს უწევდა მთელ ოპერაციას, დაწერილებით ინფორმაციას აწვდიდა მილკეს, რომელიც თავის მხრივ პონეკერს აყენებდა საქმის კურსში. გდრ-ის ტერიტორიიდან ლიბიელთა ტერორისტული აქციების შესახებ პირველი შეტყობინება სამინისტროს 1985 წელს მიიღო. ცონტრდაზვერვის ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა კრაჩმა 1986 წლის 20 მარტს ჯაცნო მილკეს ლიბიელთა გეგმები, 24 მარტს კი სამინისტროს მეშვეობით გადის ტესტირებას, რომელმაც უნდა განსაზღვროს სტრესულ სიტუაციებზე მისი რეაქციის ფიზიკურ-ფიზიკური თვისებურებები. შემდეგ სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მიხედვით, რომელსაც გამოცდილი დამრიგებელები ხელმძღვანელობენ, შეიძლება სტრესის მართვის კურსის ათვისება. მეთოდისტები ასწავლიან პაციენტს მარტივი ვარჯიშების გარკვეულ კომპლექსს, გამოუწერენ დიეტას, აჩვენებენ მედიტაციის საფუძვლებს. შედეგები განსაცვიფრებელია. კურსგავლილნი იკურნებიან მაღალი არტერიული წნევისაგან, თავის ტკივილისა და გულის შეტევებისგანაც კი.

— ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ იოგის სწავლება მიმართულია ადამიანის შიგნით, რომელსაც გარემომცველი სამყაროსგან გაუცხოება სურს. ამ შენიშვნაზე სვامი რაო პასუხობს:

— თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანს არ შეუძლია განცალკევებით ცხოვრება. თანამედროვე კავშირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პირობებში მანძილი კონტინენტებს შორის შემცირდა. და დედამიწა თითქოს დაპატარავდა. ჩვენ უნდა ვეზიაროთ თანარსებობის, მშვიდობის, სიყვარულისა და საყოველთაო ძმობის მეცნიერებას.

ამერიკული გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი" წერს, რომ აღმოსავლეთ ბერლინის პოლიციამ დაუპატიმრა ერთი პიროვნება, რომელიც, „როტე არმეე ფრაქციონის" წევრი უნდა იყოს (ეს ტერორისტული ორგანიზაცია გდრ-ს ტერიტორიაზე მოქმედებს). როგორც ვარაუდობენ, ეს კაცი მონაწილეობდა რამშტაინში ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ბაზაზე მოწყობილ აფეთქებაში 1981 წელს. მანამდე დაუპატიმრეს 40 წლის ქალი, რომელმაც 1985 წელს ვიზბადენის მახლობლად დიპლომატიაში ამერიკელი ჯარისკაცი მოკლა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი იშველიებს გდრ-ის შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მიხაელ დისტელის გამონათქვამს, რომ წინა მთავრობის კავშირები ტერორიზმთან „ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ფურცელია" აღმოსავლეთ გერმანიის ისტორიაში. მართლაც, ნაგამოძიებო ორგანოებმა ახლა იციან, რომ გდრ-ის საიდუმლო პოლიციისა რეგულარულად აძლევდა თავშესაფარს, ყალბ დოკუმენტებს დასავლეთგერმანელებს, რომლებიც ტერორისტული საქმიანობის გამო ეძებნებოდნენ.

გაზეთი „უოლ-სტრიტ ჟორნელი" ფიქრობს, რომ ახლა დისტელის ხელშია გდრ-ის საიდუმლო პოლიციის დოხიე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კომუნისტურ სახელმწიფოების მიერ ჩადენილი დანაშაულობების შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი უყველაზე დრამატული, რა თქმა უნდა, რომის პაპზე, იოანე პავლე II-ზე თავდასხმაა, რომელიც 1981 წელს თურქმა მეამეტ ალი აღჯამ განახორციელა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" განაგრძობს სოციალისტური ქვეყნების მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის თემას და წერს, რომ კარლოსის სახელით ცნობილმა საერთაშორისო ტერორისტმა უნგრეთში მიიღო თავშესაფარი 1979 წელს — ამას მოწმობს უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები. 1980 წლის 2 აპრილით დათარიღებულ წერილში კარლოსი მადლობას უხდის იანოშ კადარს ამისათვის, რომ მის ჯგუფს ერთი წლის განმავლობაში მისცეს თავშესაფარი. „კარლოსი" ფსევდონიმია ვინმე ილიჩ რამირეს სანჩესისა (მისი ადგილსამყოფელი ახლა უცნობია). მას 1975 წლიდან ეძებენ, როდესაც ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მინისტრების ვენის თათბირის წინააღმდეგ მოაწყო ტერორისტული აქცია, რომლის შედეგად 3 მინისტრი დაიღუპა, ხოლო 11 მძევლად წაიყვანეს. ასევე ფიქრობენ, რომ 1976 წელს კარლოსმა უგანდაში გაიტაცა ფრანგული ხომგზავრო თვითმფრინავი.

ამრიგად, კომუნისტური რეჟიმების კრახმა აღმოსავლეთ ევროპაში წარმოაჩინა წინა მთავრობების მრავალი დანაშაული და ბოროტმოქმედება — ბულგარეთში იძულებითი შრომის ბანაკებით დაწყებული და საერთაშორისო ტერორიზმთან კავშირით დამთავრებული.

ტრიუკი არ გამოვიდა, კასკადიორი ცოცხალია

ასეთი მოკლე კომენტარი შეიძლება დავურთოთ კეისტონის საავგენტოს სურათს. ფრანგი კასკადიორი შეეცადა დაეძლია 11 მეტრი სიმაღლის ბარიერი, მანქანებისაგან რომ შედგებოდა.

კეისტონ-სასკენის ფოტო.

ლეონიდე მელიქაძე

ქართულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ნავთობის ქიმიის ცნობილი სპეციალისტი, მეცნიერების ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიისლაურეატი, 1945 წლიდან სკკპ წევრი ლეონიდე დავითის ძე მელიქაძე.

ლ. მელიქაძე დაიბადა 1912 წელს. 1934 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი. იგი სხვადასხვა წლებში მუშაობდა პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, 1947 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ ნავთობის ქიმიის ლაბორატორიას.

ფართო და მრავალმხრივია ლეონიდე მელიქაძის სამეცნიერო კვლევის დიაპაზონი, მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სისტემატური კვლევა ნავთობის ქიმიისა და ტექნოლოგიის დარგში. ფიზიკურ-ქიმიური და სახაქონლო თვისებების კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო საქართველოს ნავთობთა ქიმიური შედგენილობის დახასიათებას და მათი ათვისების პერსპექტივის შემუშავებას. მნიშვნელოვანი რეზონანსი ჰქონდა მის მიერ ნავთობის ლუმინესცენციის განმაპირობებელი ნაერთების ბუნების შესწავლის მიზნით წარმოებულ კვლევას, რომელმაც დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა მას ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში, მან პირველმა დაადგინა ბაკოსი საქართველოს მცირედებიტან ნავთობების მიზანშეწონილი და რაციონალური ათვისების გზების ძიების შესახებ და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია.

ფუნდამენტურ კვლევას მეცნიერი შესანიშნავად უხამებდა სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებს. მონაწილეობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აქტუალური საკითხების დამუშავებაში, რის შედეგადაც შეიქმნა მცენარეთა დაცვის ეფექტიანი საშუალებები, მან შექმნა ადრეთვე ახალი ეფექტიანი საპოხი ზეთები, მეცხოველეობის მაღალკალორიული საკვები და სხვ.



ლეონიდე მელიქაძე ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიის, 40-ზე მეტი გამოგონების ავტორია.

ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ლეონიდე მელიქაძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. 1976 წლიდან გარდაცვალებამდე იგი იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მრავალი საარბიტრო სამეცნიერო საბჭოს წევრი, მთელი რიგი სამეცნიერო და ტექნიკური ჟურნალების რედკოლეგიების, სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოების, მრავალი სამთავრობო კომისიის წევრი და ა. შ.

ლ. მელიქაძე დაჯილდოებული იყო ორი „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

წავიდა ჩვენგან ძლიერი ხელის, ფართო მეცნიერული ერუდიციისა და ფაქიზი პრაქტიკული ალღოს მქონე ალიარებული მეცნიერი და მოღვაწე. მისი ნათელი სახე, ენერგია, შესაფერი ოპტიმიზმი, დიდი პასუხისმგებლობა, უშუალობა ადამიანებთან დამოკიდებულებაში, კაცთმოყვარეობა მარად დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და ალერდილების ხსოვნაში.

ბ. გუმბარიძე, ვ. ბურბენიძე, ნ. ჭითანავა, ვ. ლორთქიფანიძე, ბ. თალაკვაძე, ნ. ლეკიშვილი, ა. თავხელიძე, ა. აფაქიძე, ბ. სანაძე, ი. ფრანგიშვილი, ლ. ბაბუნია, თ. ანდრონიკაშვილი, ბ. ბვილისანი, ბ. ციციშვილი, ლ. ოკლეი, ი. ჟორდანია, ე. ქიმერტელიძე, ბ. ჩიკვაძე, ბ. ცაბარეიშვილი, ბ. ცინცაძე, ლ. ხანანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, ჯ. ჯაფარიძე, ბ. ბერიძე, ჯ. ზამბახიძე.

საკავშირო პრესის ფურცლებზე

დაბნეული გენერალი

ადასტურებს ყრილობის კომისიის წევრი

ალექსანდრე იაკოვლევის განცხადების საფუძველზე შექმნილი XXVIII ყრილობის კომისიის მუშაობის შედეგები უკვე ცნობილია. კომისიამ შეფასება მისცა იმ ფაქტს, რომ ყრილობაზე გაავრცელეს ანონიმური „ცნობა" — ყრილობის დელეგატთა ჯგუფის წინაშე იაკოვლევის გამოსვლის გაყალბებული სტენოგრამა. მაგრამ ვინ იყო ნაყალბევის ავტორი? ვინ ავრცელებდა მას? კომისიას არ შეუწუხებია თავი კონკრეტული პირების ძებნით, ვინაიდან ეს შეუძლებლად მიიჩნია „ინფორმაციის ნაკლებობის გამო". მე კი, მართალი გითხრათ, ამ ამბავმა დიდად დამაინტერესა, და ამიტომაც მოვკიდე ხელი საკუთარ ჟურნალისტურ გამოძიებას.

რამდენიმე დელეგატმა მითხრა, რომ ნახეს, როგორ არიგებდა ყალბი სტენოგრამის ტექსტებს გენერალური შტაბის აკადემიის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. მივედი როდიონოვთან და ვკითხე: მართლაც ასე იყო-მეთქი?

— ასე იყო, — ჯარისკაცული პირდაპირობით მიპასუხა გენერალმა. — ერთ-ერთი შესვენების შემდეგ, ჩემს ადგილს რომ ვიკავებდი, დავინახე, რომ საავრძელში მიდევს ამ „ცნობის" 30 ეგზემპლარი. ყველანი შემომეხვივნენ — არა მე მომეცი, არა მეო! მეც დავუჯერე. ვფიქრობ, ვიღაცამ ამ გზით პროვოკაცია მომიწყო.

იგივე გაიმეორა როდიონოვმა კომისიის სხდომაზეც, სადაც ჩემი დაფინებული მოთხოვნით მიიწვიეს. არ ვიცი, მართლაც დაუპირა ვინმემ პროვოკაციის მოწყობა გენერალ როდიონოვს, თუ არა, მაგრამ თავად გენერალმა, ნებით თუ უნებლიედ, მიიღო მონაწილეობა ალექსანდრე იაკოვლევის წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციაში — ეს უდავოა. არადა, ყრილობის რეგლამენტში ჩაწერილია: დელეგატთა შორის ყოველგვარი დოკუმენტების გავრცელება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სამდივნოს ნებართვით.

ბორის რეზნიკი,
სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატი.

„მოსკოვსკია ნოვოსტი", № 29, 22/VII-1990 წ.

ვინ გამოკვებავს ქვეყანას?

პროგლემა — თვალსაზრისი — პოზიცია

(დასასრული).

პრაქტიკაც ამტკიცებს, იმის მიუხედავად, რომ ეს კანონები წინდადადგმული ნაბიჯია და იგი უნდა კანონობდეს. ახლა კანონით მიწა მის მფლობელს გადაეცემა სამუდამო მემკვიდრეობით მფლობელობაში და ამით მყარდება მდგომარეობის სტაბილურობა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ კანონით მიწას აღარ განაგებს კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც სახელმწიფო აქტით ქონდა იგი გადაცემული, არამედ ადგილობრივმა სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უნდა უპატრონოს მას.

ამ საკითხს აქტიურად და შემოქმედებითად მიუდგნენ ჩვენს რესპუბლიკაში, ცნობილია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის ინიციატივით ექვსი რაიონის სოფლის მეურნეობა დაუბრუნდა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას. ერთ-ერთი მათ შორის არის ადიგენის რაიონი. თუ თანამედროვე გლეხის ფსიქოლოგიას დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ბევრ მათგანს არ სურს ზედმეტი ტვირთი აიკიდოს, დიდი მიწის ნაკვეთი მიიღოს. თუმცა ეს ფსიქოლოგია კი არა ჩვენი თანამედროვე გლეხკაცის სულია. ასეთად ჩამოაყალიბა იგი საბჭოთა ხელისუფლებამ, და რაღაა ამის შემდეგ გასაკვირი; მართალია ბევრი მათგანი პირველად ზოზინებდა, არ სურდა მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა, სიზარმაცით გაქსუებული კვლავაც ცხოვრების იოლ გზას ეძებდა, მაგრამ თანდათანობით დარწმუნდნენ, რომ ახლა სხვა გზა არ არსებობს და საკმაოდ მიიღეს მიწები, მათ შორის სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული და ამჟამად უხვ მოსავალსაც უყრიან საფუძველს. არიან ნამდვილი გლეხებიც, რომელთაც სულითა და გულით უყვართ მიწა, ასეთებს ღამითაც არ სძინავთ, გული შესტკივთ პირადი მეურნეობისათვის. ასეთები, რომელთა შეცვლა ვერ შეძლო მართვის სისტემამ და შეინარჩუნეს გლეხური სული, არც ისე ბევრი, მაგრამ საკმაოდ არიან. მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ, რაც სასარგებლოა საერთო საქმისათვის, ყველაფრიდან აშკარად ჩანს რომ გლეხის ფსიქოლოგია ახლო მომავალში მთელი 360 გრადუსიანი კუთხით შემობრუნდება და იგი მიწას იმდაგვარად შეიყვარებს, როგორც უყვარდა და ელოლიავებოდა მისი წინაპარი.

ცხოვრებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მიწა ქალაქელებმაც შეიყვარეს და მათაც სოფლისაკენ მიუწევთ გული. ხშირად მათი ბედი დამოკიდებულია იმაზე, რაიონი, რომლის ხელმძღვანელობამ, პირადად პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ როდენ მემარნინეელმა წელს ბიჭილისელებს 1200-მდე ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა გამოუყვეს. გაჩნდნენ ქალაქელი ფერმერები, ბევრი მათგანი უხვ მოსავალს იღებს, ბევრიც სოფლად მუდმივ დამკვიდრებას აპირებს. ასე თანდათანობით მოიკრუნს ძალებს ქართული სოფელი, ეკონომიურად მძლავრი, ხალხმრავალი გახდება. ასეთად გვესახება იგი დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოში. სოფლის სიძლიერეზე კი დამოკიდებულია ქვეყნის სიძლიერე.

სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამერიკული დღიურიდან

(გაგრძელება)

ნათლავენ „მცირე იმპერიად“, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ანუ შიდა ქართლს — საქართველოს მიერ დაპყრობილად.

რა თქმა უნდა, შიდა ქართლი დაპყრო არა ოსეთმა, არამედ ბოლშევიკურმა სისტემამ, რომელსაც ისედაც მთლიანად დაპყრობილი საქართველო სამართლიანად მიაჩნია არასაიმედო, პოტენციურად ურჩ და ფეთქებად რეგიონად. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ჯერ კიდევ „მესამე რომზე“ მეოცნებე დეკაბრისტებმა შეიმუშავეს საქართველოს მეთაურობით რუსეთისათვის კავკასიის არასაიმედო ხალხების წინააღმდეგ სამოქმედო პროგრამა.

ამის საფუძველი ბოლშევიკებს ჰქონდათ და აქვთ, რასაც ადასტურებს პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის ბრძოლებში საქართველოს სისხლიანი ისტორია 1801 წლიდან დღემდე.

„ოსური კოზირის“ გათამაშების სიუჟეტი მარტივია.

რაკი ჯერ კიდევ ცოცხალია ქართველი ერი, რაკი ჯერ კიდევ ხსოვნადაუკარგავია მისი ცნობიერება, რაკი ჯერ კიდევ ქართული კულტურის ძეგლებითაა დაღფარული შიდა ქართლის ლანდშაფტი, რაკი საკუთარი სამშობლოს და ღირსების დასაცავად მზად არიან ქართველები, საჭიროა ამ ხალხის არა კულტურის, არამედ ირაციონალური ძალების პროვოცირება, ქართველი ხალხის გამოყვანა წინასწორობიდან, რათა მიაღწიონ ქართველების ხელით ოსების განადგურების მიზნს.

ამით ქართველი ხალხის ეროვნული ენერგია გადაირთვება და გაიფლანგება არა პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში, არამედ ხელოვნურად გამოწვეული ეთნოკრიზისის სარბელზე.

ამგვარ ფონზე, ჰუმანიზმისა და ჩაგრულის დამცველის მანტიით, საქართველოში შემოჰრება— ავღანური გამოცდილების მქონე ჯარის „შეზღუდული კონტინგენტი“, რომელიც „მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სანქციით“ აოსტულებს ქართველებისა და ოსების დაშოშმინების, სინამდვილეში კი, ორივეს დაპყრობის პროგრამას. ასეთია თბილისის 1989 წლის 9 აპრილის, მერე ყარაბაღისა და ბაქოს სისხლიანი სპექტაკლების სცენარი.

აი, ქართველთა მიერ უზარმაზარი ეროვნული კონგლომერატიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი იმპულსი.

ქართველების მხრივ დამოუკიდებლობის მოთხოვნისთანავე, ოსები და აფხაზები ითხოვენ საკავშირო ჯარების შემოყვანას საქართველოში, მართავენ დემონსტრაციებს 20-იანი წლების კომსომოლური სოციალიზმის დევიზით და ქართველთა კანონიერ სურვილს აღიდგინონ პოლიტიკური სუვერენიტეტი, უწოდებენ უკანონობას.

ასეთია სიტუაცია... როდესაც „პერესტროიკამ“ შესაძლებლობა მისცა ქართველ ხალხს საკუთარი ისტორიის ტრაგიკული ფურცლების გამომზეურებისა და საქართველოს კომუნისტურმა მთავრობამ საჭიროდ ცნო ერის პოლიტიკური სუვერენიტეტის გამოცხადებაზე ზრუნვა — სიტუაცია არსებითად მაინც არ შეიცვალა.

ასეთ ვითარებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თუნდაც ინტუიციის დონეზე, ეთიკური ფასეულობების გრძნობამ საქართველოს ოსური მოსახლეობა ორ ბანაკად გახლიჩა: ოსებად, რომლებმაც ინტელექტის დონეზე იგრძნეს გარეშე ძალთა ბრძა იარაღად გადაქცევის საფრთხე და საბედისწერო პერსპექტივა, და ოსებად, რომლებიც წამოეგნენ ხალხთა გამთიშველი დოქტრინის ანკესს. იმ ქვეყნის წინაშე (რომელშიც ცხოვრობენ) ზნეობრივი ვალის მოსახდელად, პირველნი მხარში ამოუდგნენ ქართულ პატრიოტულ მოძრაობას, მეორენი ანტიქართული მოძრაობის იმპერიულ ფერხულში ჩაებნენ. აშკარაა, რომ ამგვარი პოლიტიკური სპექტაკლის სცენარი საქართველოს საზღვრებს გარეთ იწერება.

ასეთია „ოსური კოზრისა“ და სპექტაკლის სცენოგრაფია.

ქართველი ერი ნათლად ხედავს, რომ უნდა ებრძოლოს არა ბრძა იარაღად ქცეული ხალხს, არამედ დოქტრინას, მაგრამ ძალთა თანაფარდობის სურათი იმგვარია, რომ ქართველ ერს უჭირს ეთნოკრიზისების გამოშწვევ იდეოლოგიურ მანქანასთან გამკლავება.

ასეთი პრობლემების ხელოვნურად გამოწვევა საბჭოთა კავშირში სირთულეს არ წარმოადგენს. ეროვნული ცნობიერებისა და საკუთარი სახელმწიფოებრიობის მატარებელი ქვეყნის ტერიტორიაზე უსამშობლო ინტერნაციონალისტობის დევიზით ან გიგანტური საწარმოების აშენების მოტივით, ხორციელდება ამ ქვეყნის მშვიდობიანი ოკუპაციის პროცესი. ამ პროცესს წარმართავს ადმინისტრაცია. ასე ყალიბდება ეთნიკური ნუვორიშების ისეთი სტრუქტურა, რომელიც ჩანასახშივე შეიცავს მკვიდრი ერის ენის, კულტურის, ტრადიციებისა და ცნობიერების ოპოზიციურ საწყისებს რუსული ენისა და სინთეზური საბჭოთა ხალხის პრიმატით.

ამ ხელოვნური ეთნოსების მართვა ადვილია, როგორც წინასწარი განზრახვით მიწაში ჩაფლული შეყოვნებული მოქმედების ნაღმებისა, რომლებიც საჭირო შემთხვევაში ხან „ინტერფრონტის“ სახით ფეთქდება, ხან „ეთნოკრიზის“ დევიზით, ხანაც „მტრად“ ქცეული მე-5 კოლონისაკ.

აი, „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“, „ინტერნაციონალიზმისა“ და „ხალხთა მეგობრობის“ იდეოლოგიური დემაგოგიის ფარზე აზიდული დოქტრინების რეალური სახე. თითოეული ამ ფორმულის მიღმა იკვეთება საზოგადოების „ენობრივი შიზოფრენიის“ საბედისწერო სიმპტომი.

ავიღოთ, თუნდაც, „ხალხთა მეგობრობის“ კონცეფცია, როგორც ცნების სოციალისტური ფასიფიკაციის კლასიკური ნიმუში.

რომელმა ქვეყანამ, თუ არა შეერთებულმა შტატებმა, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყოველგვარი მოდგმის ხალხთა თანაყოფის ადგილია, უწყის, რომ „ხალხთა მეგობრობა“ უაზრო, აბსურდული და აბსტრაქტული ცნებაა. მეგობრობა არის ინდივიდის მიერ აღსრულებული კერძო, ინტიმური ანუ არაფორმალური ურთიერთობის გამომხატველი მდგომარეობა. მეგობრობა არის არჩევითი და შეიძლება ინდივიდთა შორის, განურჩევლად იმისა, თუ რომელი ხალხის თუ რასის შვილია ის. მაგრამ მეგობრობა უპიროვნო ხალხებს შორის და არჩევნის შესაძლებლობის გარეშე, აბსტრაქცია და პოლიტიკური დემაგოგია.

ხალხთა ზეპიროვნული ურთიერთობის რეალური შინაარსის გამომხატველი ცნება არის არა „მეგობრობა“, არამედ თანხმობა.

ამასთან დაკავშირებით — ორიოდე სიტყვა ეთნოკრიზისებით გამოწვეულ მორალურ ასპექტზე. საბჭოურმა ეთნოკრიზისებმა გარკვეული „ორექტივები შეიტანა ეთნოკრიზისებისადმი კაცობრიული დამოკიდებულების არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ მეტაეთიკურ გაზომვაში

ჩვენს თვალწინ იმსხვრევა სტერეოტიპები. მოგეხსენებათ, რომ როდესაც ეროვნული უმრავლესობა ებრძვის უმცირესობას, a priori ყალიბდება ჩაგრულისადმი თანაგრძნობის განწყობიანება. მაგრამ როდესაც დაუძლეველ ძალთა ბრძა იარაღად ქცეული უმცირესობა ებრძვის თავისუფლებისათვის მებრძოლ მკვიდრ ერს — მისდამი თანაგრძნობას მორალური საფუძველი ეცლება.

აი, საბჭოური ეთნოკრიზისების საშიში მხარე, რომელიც იდეოლოგიურად შეიცავს „მტრის“ კონცეფციაში გადაზრდილა და ერთი ერის მეორესთან შეჯახების ტრაგიკულ პერსპექტივას.

შეიძლება თუ არა ქართველი ერის დადანაშაულება ეროვნულ ან რელიგიურ შეუწყნარებლობაში?

ამ კითხვაზე პასუხის საუკეთესო ილუსტრაციაა ქართველების დამოკიდებულება საქართველოში 25 საუკუნის მანძილზე მცხოვრები ებრაელებისადმი.

ყველას უკვირს, თუ რატომაა საქართველო ლამის ერთადერთი ქვეყანა, რომლისთვისაც უცხოა ანტისემიტიზმი. აწ რას ნიშნავს „ქართველი ებრაელის“ ცნება?

საქმე ის არის, რომ რიცხობრივად საქართველოში მცხოვრები ებრაელები აღემატებოდნენ ოსებსაც და სხვა ეროვნულ უმცირესობებსაც. ისინი ოსებზე უფრო კომპაქტურად ცხოვრობდნენ საქართველოს სამ რეგიონში.

ებრაული ენის, ცნობიერებისა და კულტურის ტრადიციებზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ.

მაგრამ აღვნიშნავ მხოლოდ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ 25 საუკუნის მანძილზე — არც მაშინ, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა კრიზისის პერიოდებს განიცდიდა, და არც მაშინ, როგვერდით აქვთ საკუთარი სამშობლო ჩრდილო ოსეთის სახით, თურმე ნუ იტყვით, სურთ ქართულ ტერიტორიაზე შექმნან თავიანთი სხვა სამშობლოს სახელმწიფოებრივი ფორმა, რომლის მიზნია ჩრდილო ოსეთთან გაერთიანება.

ვინ შთააგონებს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს გარკვეულ ნაწილს, რომლებსაც მეზობლად აქვთ თავიანთი სამშობლო, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი? ვინ შთააგონებს სომხების გარკვეულ ჯგუფებს, რომლებსაც აქვთ საქართველოს მოსაზღვრე თავიანთი სამშობლო, საქართველოში შექმნან თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი?

რა თქმა უნდა, ჩვენ გვესმის, საიდანაც მომდინარეობს ამგვარი დოქტრინა და როგორც ქართველების, ისე აზერბაიჯანელების, სომხების და ოსების როგორ მომავალს ემსახურება იგი.

ამიტომ არც ამგვარი დოქტრინის და არც მისი პრაქტიკულად ხორცშესხმისადმი შერიგება არ შეგვიძლია.

ისედაც მცირემიწიანი ქართველობა ვერ შეურიგდება თავისი მიწა-წყლის სხვების მიერ მიტაცების დოქტრინას. მაგრამ ქართველი ხალხი მზად არის საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებასთან თანაარსებობისათვის.

ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ქართველმა ხალხმა ეს დაამტკიცა, როდესაც საკუთარი გაჭირვების მიუხედავად, აწალახან საქართველოში მიიღო აზერბაიჯანიდან ლტოლვილი სომხები, ისევე როგორც სომხეთიდან ლტოლვილი აზერბაიჯანელები. მეტიც. ქართველმა ხალხმა ძალების უკიდურესი დაძაბვით შეძლო, რომ არ მომხდარიყო სისხლისმღვრელი შეტაკება იმ სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე.

სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად ეთნოკრიზისების რეგულირების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება.

ამ ორგანიზაციის მიზანი, გარდა ქართული ენის, საქართველოსა და სარწმუნოების ხსნისა, არის საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა პარლამენტური ბრძოლის გზით.

ეს ორგანიზაცია აღიარებს ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებას იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველო ეწოდება.

საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა შორის დიალოგის მიზნით რუსთაველის საზოგადოებამ შექმნა ბერძენთა, ჭეჩოთთა, აზერბაიჯანელთა, სომეხთა ასოციაციები. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოხერხდება რუსეთსაც მას აღზევების ხანა ჰქონდა, ებრაელებს არათუ არ დაუყენებიათ საქართველოდან გამოყოფის საკითხი, არამედ ერთგულობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს იდეას. და ეს იმ დროს, როდესაც მათ არასოდეს დაუვიწყნიათ, რომ მათი სამშობლო ისრაელია.

და მოხდა სასწაული. როდესაც ქართველი ებრაელების ნაწილს უფლება დართეს გადასახლებულიყვნენ ისრაელში, მათ არათუ წაიღეს ქართული კულტურისა და საქართველოს ნოსტალგიური ხსოვნა, არამედ ჩამოაყალიბეს ქართველ ხალხთან ერთად საქართველოს მეორე სამშობლოდ შენარჩუნების კონცეფცია.

ქართველი ხალხის გული და სახლის კარი მუდამ ღიაა ამგვარი ხალხისათვის. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ქართულ პატრიოტულ მსოფლმხედველობაზე ერთგვარი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოსადმი ებრაელთა კეთილმოსურნე ყურადღებამ, როგორც სტერეოტიპმა. რომანტიკოსმა ქართველებმა იგი მიიჩნიეს საქართველოში დამკვიდრებული სხვა ხალხების საქართველოსადმი დამოკიდებულების შესაძლებელ სტანდარტად.

ქართველები მოვტყუვდით...

ქართველებს ანცვიფრებთ დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ოსების სპარატისტულ ჯგუფებს, რომლებსაც საქართველოს ლი, ოსური და აფხაზური ასოციაციების შექმნაც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კავკასიის ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობისა და თანამშრომლობის ისტორიული გამოცდილება ამ ერთიანობის გარანტია გახდება.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე კარგად მესმის, თუ რა როლს ასრულებს პოლიტიკაში ძალა და არა სიმართლე. მე ისიც კარგად მესმის, რომ არგუმენტები, რომლებიც წარმოვადგინე, უფრო ეთიკური ხასიათისაა და სიმართლისა და სამართლიანობის ინსტინქტიდან მომდინარეობს, ვიდრე ეკონომიკური საფუძვლებიდან.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანთა ფრიენტირებში იკვეთება ხოლმე მთელი ფაზები, როდესაც „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.

ქართველმა ერმა თავისი გამოცდილებით იცის პოლიტიკური დისკრიმინაციის სიმწარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ მან ეროვნული ტრადიციების დონეზე გამოჭედა ერთი მცნება: ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, ვერ გაიმარჯვებს, ვერასოდეს იქნება შინაგანად თავისუფალი, თუ არა მხოლოდ მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხები იქნებიან დაჩაგრულები, არამედ თუ პოლიტიკური თანხმობა არ დამკვიდრდა მის სამეზობლოშიც.

ამიტომ ქართველთა ეროვნული ეგოიზმის, შეუწყნარებლობის, შოვინიზმის მითები, რომლებსაც მაკომპრომენტირებელი ხმების გამავრცელებელნი დასავლეთში ჯიუტად ნერგავენ, ჭორია. საქართველოზე, სადაც ერთმანეთის გვერდით დგანან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური და სომხური გრიგორიანული ტაძრები, ალბათ, ეს არ ითქმის.

სხვა ხალხებისა და სარწმუნოებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება საქართველოში სათავეს იღებს XII საუკუნიდან, როდესაც ქართულ-აფხაზური სამეფოს უდიდესმა შემოქმედმა დავით აღმაშენებელმა ეს ტრადიცია აქცია ქართული სახელმწიფოებრიობის ჰუმანისტურ პრინციპად.

პრობლემა, რომელიც ამ მხრივ დგას ჩვენს წინაშე, იმით გამოიხატება, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებებიც გრძნობდნენ ერთ ჭეშმარიტებას: მათი ბედი და მომავალი დამოკიდებულია ქართველი ერის ბედსა და მომავალზე!

ამ ხალხთა კეთილდღეობის გარანტიებს არ ექნებათ პერსპექტივა, თუ ქართველ ხალხს არ მიენიჭა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარანტიები.

ქართველი ერის თავისუფლებისადმი მტრული ძალების ბრძა იარაღად გადაქცევა ნიშნავს, რომ ამ ხალხებმა ხელი მოაწერონ საკუთარი უბედურების განაჩენს.

ასეთია სიტუაცია...

იმ პრობლემებიდან, რომლებსაც XX საუკუნე საბედისწერო გამოცდილების სახით უტოვებს მომავალ საუკუნეს, ერთი სახელმწიფოსა და ხალხთა ცხოვრების უტოპიური სოციალური თეორიები ექნებიან დაჩაგრულები, არამედ თუ პოლიტიკური თანხმობა არ დამკვიდრდა მის სამეზობლოშიც.

ამიტომ ქართველთა ეროვნული ეგოიზმის, შეუწყნარებლობის, შოვინიზმის მითები, რომლებსაც მაკომპრომენტირებელი ხმების გამავრცელებელნი დასავლეთში ჯიუტად ნერგავენ, ჭორია. საქართველოზე, სადაც ერთმანეთის გვერდით დგანან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური და სომხური გრიგორიანული ტაძრები, ალბათ, ეს არ ითქმის.

სხვა ხალხებისა და სარწმუნოებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება საქართველოში სათავეს იღებს XII საუკუნიდან, როდესაც ქართულ-აფხაზური სამეფოს უდიდესმა შემოქმედმა დავით აღმაშენებელმა ეს ტრადიცია აქცია ქართული სახელმწიფოებრიობის ჰუმანისტურ პრინციპად.

პრობლემა, რომელიც ამ მხრივ დგას ჩვენს წინაშე, იმით გამოიხატება, რომ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებებიც გრძნობდნენ ერთ ჭეშმარიტებას: მათი ბედი და მომავალი დამოკიდებულია ქართველი ერის ბედსა და მომავალზე!

ამ ხალხთა კეთილდღეობის გარანტიებს არ ექნებათ პერსპექტივა, თუ ქართველ ხალხს არ მიენიჭა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენის გარანტიები.

ქართველი ერის თავისუფლებისადმი მტრული ძალების ბრძა იარაღად გადაქცევა ნიშნავს, რომ ამ ხალხებმა ხელი მოაწერონ საკუთარი უბედურების განაჩენს.

ასეთია სიტუაცია...

იმ პრობლემებიდან, რომლებსაც XX საუკუნე საბედისწერო გამოცდილების სახით უტოვებს მომავალ საუკუნეს, ერთი სახელმწიფოსა და ხალხთა ცხოვრების უტოპიური სოციალური თეორიები ექნებიან დაჩაგრულები, არამედ თუ პოლიტიკური თანხმობა არ დამკვიდრდა მის სამეზობლოშიც.

ამიტომ ქართველთა ეროვნული ეგოიზმის, შეუწყნარებლობის, შოვინიზმის მითები, რომლებსაც მაკომპრომენტირებელი ხმების გამავრცელებელნი დასავლეთში ჯიუტად ნერგავენ, ჭორია. საქართველოზე, სადაც ერთმანეთის გვერდით დგანან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური და სომხური გრიგორიანული ტაძრები, ალბათ, ეს არ ითქმის.

სხვა ხალხებისა და სარწმუნოებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება საქართველოში სათავეს იღებს XII საუკუნიდან, როდესაც ქართულ-აფხაზური სამეფოს უდიდესმა შემოქმედმა დავით აღმაშენებელმა ეს ტრადიცია აქცია ქართული სახელმწიფოებრიობის ჰუმანისტურ პრინციპად.

ანსამბლი გამარჯვებული დაბრუნდა

ბათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აპარკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს სახალხო წოდება აქვს მინიჭებული. 50 წელია აპარკოოპკავშირის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი ქართული მუსიკის და ქორეოგრაფიის ხელოვნების პროპაგანდას ეწევა მრავალ ქვეყანაში. გასტროლები ჰქონდა პორტუგალიაში, იტალიაში, ვიეტნამსა და სხვა ქვეყნებში. საკავშირო ფესტივალებში ანსამბლი სამჯერ გახდა ლაურეატი. 1975 წლიდან კი იგი უკვე სახალხო ანსამბლად იწოდება.

ახლახან ანსამბლი დაბრუნდა თურქეთიდან. სტამბოლში გაიმართა საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ იტალიის, უნგრეთის, პოლონეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, რუმინეთის და სხვა ქვეყნების თვითმოქმედი ანსამბლები. აპარკოოპკავშირის ცეკვისა და სიმღერის სახალხო ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა და დაჯილდოდა ათათურქის მედლით.

ანსამბლი ფესტივალისთვის მოამზადეს ქორეოგრაფმა თამაზ ჯახუტაშვილმა, დირიჟორმა დავით აბულაძემ და სამხატვრო ხელმძღვანელმა ლეილა ვერულაშვილმა.



გასეირნება. ჯავარ ლომაძის ფოტო.

Სოფია: ჩხალი ჩხოლოდ

გიორგი ფერეთელი

რუსთაველზე

ღამის მათევარი

რით შემოგბედო
განთიადის დიდშემომქმედო,
დიდო მგოსანო,
ჩემო დიდო წინამორბედო
სიტყვა მოგდევდა სამომავლო,
საგანთიადო,
ჩემო უკვდავო წინაპარო,
პაპავ დიადო!
„განთიადზე“ თქვეს: ციდან არის
ჩამოფრენილი,
თეთრად შემოსა დედამინა შავმოფენილი...
რა ლექსი გითქვამს,
რა სიმღერა,
ან რა ქართული...
შენ საქართველოს მეხამრიდად
ხარ აღმართული.
ვის არ ვამღერეთ,
დღესაც ერთად ვგალობთ სულიკოს,
ვნატრობთ,
ყველა ყრმა შენი სულის გამოსულიყოს.
აკანთან ხვდები ახალშობილს
„იავნანათი“
და ზრდი „გამბრდელითი“,
გზას უნათებ ძვირფას სანათით, —
იმ „განთიადით“
რითაც სულში თავად შემოდი
და მიაცილებ სამარემდე „თავო ჩემოთი“...
მოკვდა საღათა,
მისი ძილით დღეს ხალხს არ ძინავს,
დე სისხლის ღვარებს ცრემლის ღვარი
ესხას სამძიმრად,
არ გაიმეტებს ღმერთი შენს დიდ ერს
გასანირად...
მზეო ნათელო „განთიადით“ დღის
გამნათველო,
შენ ხარ უკვდავი უკვდავთ შორის
ვით საქართველო.
უკვდავს ვინ მოპკლავს,
უდღეურთა დღე დაილია,
კვლავ ღამეს ათევთ რუსთაველზე
შენ და ილია!...

ჩემო მიწავ

ჩემო მიწავ ნამეხარო,
ისე თბილი რამე ხარო,
როცა გული გაცივდება
მკერდზე უნდა დამეყარო.

შეერთდით!

გამხმარი ხე უნდა აფეთქდეს რტოებად...
რა დროს დაშლა არის გვარებად,
ტომებად...
ახლა ღალატია ხალხის მიტოვება
საქმის მიტოვება და განმარტოება.
ამერ იმერეთით,
ბერეთით,
პერეთით...
შეერთდით,
შეერთდით,
შეერთდით!
ხელი დავუმოკლოთ ხელებდიდს,
ვერავინ დაგვადეს მერე თითს...
შეერთდით,
შეერთდით,
შეერთდით!

ძოდის საქართველო

ზოგი გზას უთმობს,
ზოგი სკამს უთმობს,
რა ხდება?
უკვირთ
უბირთ...
იმას კი დიდი
ხვალის საქართველო
ამაყად მოპყავს უბით...

მოციქული

ხმლის ტარს ფლობდა მეომარი,
მხვნელ-მთესველი ერქვანისას,
მგოსანს ეპყრა კალმისტარი,
ნაყოფს, სიბრძნე ერქვა მისას.
წუთისოფელს ამოხვნეშილს
უმზეო ცა როცა მართავს,
მგოსანი დგას სანთლით ხელში
ჯოჯოხეთის მოსანათლად.
რისი ომი, რასი ომი,
უნდა გავლოთ გზა სიამით,
ავი კაცი ავდარსა ჰქმნის,
შექმნის კარგი კაცი ამინდს.
რომ შეგიძლვეს სამოთხეში
მირონი აქვს მგოსანს მართლაც,
დადის ლექსის სანთლით ხელში
ბნელი სულის მოსანათლად.

●

აქ იპოვნა სხვა მირონი
როცა მოდგა ლოცვად მტკვართან, —
ფერი მიაქვს ცაფირონის
ურწმუნოთა მოსანათლად.
მეფე სადაც ისხდა წინათ,
კიდებს ქართველ მგოსნის სურათს,
ყველა მთასთან ჩემს მთანმინდას
დადგომია მოციქულად,
თუ ღრუბელმა მოგვიჩრდილოს
მგოსნის სულის მზე დაგვიცავს,
რადგან ჩვენი ერის მირონს
შუბლზე აცხებს დედამინას.

„ოქროს საწმისის“ დაბადება

კიდევ ერთი წმინდა სახლი ქართული ენისა და ნათელი ადგილი ჩვენი სამყოფელისა — ასე აღიქვა საზოგადოებრიობამ აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ქართული ლიტერატურული თეატრის გახსნა. მას „ოქროს საწმისი“ ჰქვია და თითქოს ამ სახელწოდებამაც დაიტია ახალი თეატრის შექმნის დიდი და მეტყველი მიზანი: დიდება და ამაღლება ქართულ ჯიშსა და ქართულ მოდგმას! დიდება და ამაღლება ქართულ სულიერებას! დიდება და ამაღლება ქართულ ენას — შემკულს და კეთილხეულს სახელითა უფლისაითა.

თეატრის ემბლემაა ოქროს საწმისიანი ვერძი მოქნილი სხეულით, ძლიერი და პოეტური მზერით: რამეთუ ერის ღირსება მის სულიერ მოძრაობაში, სულიერ ძლიერებასა და სულიერ სინატიფეშია. ასე ჩაიფიქრა ეს ემბლემა მისმა ავტორმა კობა გურულმა, ასეთი მისწრაფებით აქციეს ფეხ ქვეშ მისტერიათა სიბრძნის და მშვენიერების ეს სამშობლო. ახალი ლიტერატურული თეატრის დროშად მისმა შემქმნელებმა — საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა და საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა.

შემთხვევითი არ არის, ალბათ, რომ ლიტერატურული თეატრის პირველი სპექტაკლი დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას მიეძღვნა. სიბრძნე და მშვენიერება ერთმანეთს ეწამს. ამ ორ ნაწილებიდან. ოქროს საწმისის შუქი იღვრება მისი წიგნებიდან. ოქროს საწმისის მსგავსად ბრწყინავს მისი სიტყვა, აზრი და სული.

სპექტაკლი ასეა ჩაფიქრებული და განხორციელებული: „კონსტანტინე გამსახურდიას სამყარო“ — გამოფენა ფოიეში, „კონსტანტინე გამსახურდიას სამყარო“ — სცენაზე. ეს ორი ელემენტი ერთ მხატვრულ სისტემად არის შეკრული და ჭილიანობის შეგრძნებას ბადებს. აქ ყველაფერი ერთმანეთს ესადაგება ფერით, ფორმით, განწყობილებით და შინაგანი ინტონაციით.

გამოფენა ფოიეში, მოწყობილი საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ: მუზის სტენდებში განფენილია სამყარო დიდი კონსტანტინესი: უნიკალური წიგნები, ტომეულები, დოკუმენტები, კოლური პეიზაჟები... აი — კონსტანტინე გამსახურდია დედასთან, აი სახლი, სადაც იგი დაიბადა და ბავშვობა გაატარა, კონსტანტინე გამსახურდია ოჯახის წევრებთან ერთად...

და თანდათანობით იჭრება ევროპული ელემენტი.

გერმანია — მის მიერ თარგმნილი გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, ფრიდრიხ ნიცშესადმი მიძღვნილი ლექსი; თავად ნიცშეს, შოპენჰაუერის — მწერლის სულიერი მამების, და მისი გერმანელი მეგობრების პორტრეტები, მათი მეგობრობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები, გერმანიის უნივერსიტეტები... და კონსტანტინე გამსახურდიას „გოეთეს ცხოვრების რომანი“;

იტალია — დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ იტალიურად და მისი კონსტანტინესეული ქართული თარგმანი. შემდეგ რომის წმინდა პეტრეს ტაძრისადმი მიძღვნილი ლექსი „მარია სტელლა“ და სტატია „ლეონარდო და ვინჩი“;

საფრანგეთი — ლექსი „პარიზი, 1919 წელი“, ცნობილი ესეები „ანატოლ ფრანს“, „ჰონორე დე ბალზაკი“, „როდენის კათედრალები“;

ინგლისი — „ჯორჯ ბაირონ“, „ჰამლეტის“ თარგმანის ხელნაწერები...

ყოველივე ერთხელ კიდევ განამტკიცებს რწმენას, რომ კონსტანტინე გამსახურდია ყოველთვის იყო და მარად დარჩება დიდი ევროპული კულტურის ცოცხალ და აქტიურ ნაწილად.

მომდევნო სტენდებზეა: ხევსურული მოტივები, „დიდოსტატის მარჯვენა“ მსოფლიოს მრავალ ენაზე და დარვილისეული ილუსტრაციები ამ რომანისა, შალვა მშველიძის ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“;

„მთვარის მოტაცების“ თარგმანები მრავალ ენაზე და ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა „მთვარის მოტაცების“ კლავირი; „დავით აღმაშენებელი“, — ტომები და ხელნაწერები, ასევე ხელნაწერი „თამარ“, კონსტანტინე გამსახურდია და ქართველი მოღვაწეები...

და ყველაზე მნიშვნელოვანი — მწერლის ხელნაწერები, ხატოვანი და მეტყველი კალიგრაფიით აკინძული ანრები. „როგორ ვწერ? — წერილი „საბჭოთა მწერლობის“ რედაქციისადმი. ტფილისი, 1933 წელი. აქ სიტყვიერად არის გაცხადებული მწერლის მუშაობის პროცესი: „...კიდევ რამდენიმე სიტყვა, რამდენიმე ასო უნდა შეიცვალოს. ეს მარცვალი მანდ მეტია, პროზის შინაგან რიტმს არღვევს“... დღეს ხომ ხშირად პოეზიამეც კი გვიჭირს ამ ჭეშმარიტ პოეტური ელემენტების — მარცვლისა და შინაგანი რიტმის მოძიებას!

ექსპოზიციაში წარმოდგენილი ხელნაწერებიდან თვალთათლივ ჩანს, როგორ აჩუქურთმებს ფრაზას მისი კალამი, როგორ ელოლიავება მწერალი ქართულ სიტყვას. და თითქოს კიდევ ერთ დასტურად ამისა — სტენდიდან შეგეხმიანებათ ოდა ქართული ენისა, ძველი ქართული საზეადო ასოებით დამშვენებული: „ენა ქართული —მყინვარივით გულზვიადი, ენა ქართული — ზღვასავით ულევი, ენა ქართული — თასმასავით მოქნილი, ენა ქართული — ღმერთების ენა!“

სცენაზე იღვრება დიდოსტატ კონსტანტინეს ჯადო სიტყვა.

ჩანათვალია კომპოზიციების ფონზე მოძრაობენ და მეტყველებენ მცენარეული ორნამენტებით დამშვენებულ სამოსში გამოწყობილი, ოსური და აფხაზური ასოციაციების შექმნაც.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კავკასიის ხალხებთან ქართველი ხალხის სოლიდარობისა და თანამშრომლობის ისტორიული გამოცდილება ამ ერთიანობის გარანტია გახდება.

ქალბატონებო და ბატონებო!

მე კარგად მესმის, თუ რა როლს ასრულებს პოლიტიკაში ძალა და არა სიმართლე. მე ისიც კარგად მესმის, რომ არგუმენტები, რომლებიც წარმოვადგინე, უფრო ეთიკური ხასიათისაა და სიმართლისა და სამართლიანობის ინსტინქტიდან მომდინარეობს, ვიდრე ეკონომიკური საფუძვლებიდან.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანთა ფრიენტირებში იკვეთება ხოლმე მთელი ფაზები, როდესაც „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“.

ქართველმა ერმა თავისი გამოცდილებით იცის პოლიტიკური დისკრიმინაციის სიმწარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ მან ეროვნული ტრადიციების დონეზე გამოჭედა ერთი მცნება: ქართული ეროვნული მოძრაობა დამარცხდება, ვერ გაიმარჯვებს, ვერასოდეს იქნება შინაგანად თავისუფალი, თუ არა მხოლოდ მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხები იქნებიან დაჩაგრულები, არამედ თუ პოლიტიკური თანხმობა არ დამკვიდრდა მის სამეზობლოშიც.

ამიტომ ქართველთა ეროვნული ეგოიზმის, შეუწყნარებლობის, შოვინიზმის მითები, რომლებსაც მაკომპრომენტირებელი ხმების გამავრცელებელნი დასავლეთში ჯიუტად ნერგავენ, ჭორია. საქართველოზე, სადაც ერთმანეთის გვერდით დგანან ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგა, მეჩეთი, კათოლიკური და სომხური გრიგორიანული ტაძრები, ალბათ, ეს არ ითქმის.

სხვა ხალხებისა და სარწმუნოებებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება საქართველოში სათავეს იღებს XII საუკუნიდან, როდესაც ქართულ-აფხაზური სამე

ბაზ ასე, ბატონებო, — ჩვენს უკიდეკანონ პლანეტას ორად ორი იმპერიაღა შემორჩა: რუსეთისა (დიდი) და საქართველოსი (მცირე).

რა არის იმპერია? არა მგონია, აქ ენციკლოპედიების მოშველიება იყოს საჭირო...

მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველა კანონზომიერებას გამონაკლისიც ახასიათებს, ხოლო ისეთ გამონაკლისს, რომელიც ერთადერთი და უპრეცედენტოა, უნიკალურს უწოდებენ. უნიკალური კი ხელის გულზე როდი ძევს თვალსაჩინოდ და თვალშისაცემად. მას აღმოჩენა სჭირდება. ჰოდა, ბატონმა სახოლოგმა აკი გააკეთა კიდეც ეს აღმოჩენა. ისე რომ, მან ორი დიდი აღმოჩენა დაუტოვა კაცობრიობას: ერთი — წყალბადის დამნგრეველი ძალა (ცეზიუმის წლებში) და მეორე უნიკალური მცირე იმპერია (გარდაცვალების წინა თვეებში).

მერე რა, რომ დღეს არსებული დიდი და მცირე იმპერია მასშტაბურად ისე შეეფარდებიან ერთმანეთს, როგორც იმპერატორის მუნდირი და იმ მუნდირის სახელოზე მიკერებული ღილი! მერე რა, რომ საქართველოს იმპერია ერთადერთია დღემდე ცნობილ იმპერიათა შორის, რომელიც ერთდროულად იმპერიაცაა და კოლონიაც! მერე რა, რომ სიტყვა „იმპერია“ თავის თავში ერთდროულად გულისხმობს მეტროპოლიას, კოლონიურ და სატელიტ ქვეყნებს, ხოლო საქართველოს არათუ არ გააჩნია ისინი, თვით მისი ისტორიული, სისხლ-ხორცეული ტერიტორიის ლამის მესამედი მეზობელი ქვეყნების მფლობელობაშია!... — ჰოდა, აბა, რით არ არის ეს მეორე დიდი აღმოჩენა ჭეშმარიტად დიდი მეცნიერის საკადრისი?!

ან იქნებ, როგორც ეს ერთი ქართველი ჟურნალისტის „ულისამჩუყებელ „ნოველაში“ (თუ ზღაპარში) იყო მოთხრობილი, მართლა „ოგონიოკის“ არამკითხე კორესპონდენტმა მიაწერა მეცნიერს. არავინ იფიქროს, თითქოს მართლა ეჭვი შეპარებოდეს მის, როგორც სწავლულისა და საზოგადო მოღვაწის სიდიდეში, — ღმერთმა დამიფაროს ეს „დიდი აღმოჩენა“, არ ვიცი, ფაქტი ის არის, რომ მას არც კი უცდია ოფიციალურად უარეყო ამ „აღმოჩენის“ ავტორობა, რაც, თუკი ამას მოისურვებდა, რედაქტორთან ტელეფონით ერთი დარეკვის საქმე იყო...

არადა, იმ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, ვინ იცის, „ოგონიოკის“ რამდენმა საქმეში ჩაუხედავმა მკითხველმა საგანგებოდ მოხახა საქართველოს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფის (დაჯილგვნის!) რუკა და იოლადაც ირწმუნა მეცნიერის ნათქვამი!

ახლა კი დიდ, ნამდვილ იმპერიასაც გადავხედოთ, თვალი „ვლადიოსტოკოვთ“, „ვლადიკავკაზით“ თუ „ვლადიმირით“, ანუ მსოფლიოზე ბატონობის დაუფარავი პრეტენზიებით.

ჩვენ რომ ვერ შევიფერეთ იმპერიობა და იმპერიალისტობა, ჩვენ უსამართლოდ შეურაცხყოფილებმა, ასეთი განგაშით რომ გამოვხატეთ ჩვენი აღშფოთება, აქ გასაოკვა-გასაკვირი რა უნდა იყოს, მაგრამ აბა, ერთი იმ დიდი და ნამდვილი იმპერიის წარმომადგენლებსაც მოვუსმინოთ. თვალსა და ყურს არ დაუჯერებთ, რაებს გაიძახიან, როგორ ასავსავევენ ხელებს აღშფოთებულნი და შეურაცხყოფილნი: რა იმპერიაო, რის იმპერიაო, რა იმპერიული, რომელი იმპერიულიო, როგორ ბედავთ, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტ ბურჯს „იმპერია“ უწოდოთო! აბა, სადაური იმპერიაა რუსეთი, მთელი თავისი არსებობის მანძილზე მეზობელი მცირე ერების ქომაგობისა და მფარველობის მეტი რომ არაფერი უკეთებია და ერთთავად მათი“ გაბედნიერებისა და აყვავებისათვის ზრუნვას გადაჰყვაო!

არა გჯერთ? მაშ, გადაშალეთ ყოველკვირეულ „ნედელიას“ ამა წლის მეშვიდე ნომერი და ჩახედეთ მე-14-მე-15 გვერდებს! „სამშობლოს წარსულის მომზიერვასას“ კვესათაურით: „რუსეთის იმპერიის ისტორიისათვის“, ასეა დასათაურებული ეს წერილი. ავტორები გახლავთ: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. ვინოგრადოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ისტორია-დიპლომატიის სამმართველოს უფროსის მოადგილე ვ. ფილატოვი.

ისე, სტატიის ავტორებიც, ეტყობა, წინასწარ გრძნობენ პირველმკვალავთა იმ მისიის სირთულესა და სიმძიმეს, შათ რომ უკისრიათ, და იქვე თავმდაბლურად აღიარებენ, „სულაც არ არის იოლი ამ კითხვებზე დამაჯერებელი და, რაც მთავარია, დასაბუთებული პასუხების გაცემა“ — მაგრამ რას ეზამ, ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დაირღვეს ძველი სტერეოტიპები, თვით „პერესტროიკა“ მოითხოვს ამას (წმამოსცდათ!) და სწორედ დღეს უნდა გაირკვეს რუსეთის სახელმწიფოს წარსულზე. თვალსაზრისი და, კერძოდ, —„მის „იმპერიულ“ პერიოდზე, ე. ი. მოყოლებული 1721 წლიდან, როცა მეფე პეტრე პირველმა „ქვეყნის მამისა და სრულიად რუსეთის „იმპერატორის“ ტიტული მიიღო“.

აი, ასე, რუსეთის „იმპერიის“ (ბრჭყალებშია, არც მეტი, არც ნაკლები!) ისტორია თურმე პეტრე პირველიდან იწყება, როცა ამ უკანასკნელმა ოფიციალურად მიიღო იმპერატორის ტიტული, თითქოს სულ ერთი არ იყოს, ფაქტობრივად არსებული იმპერიის სათავეში მჯდარ (თუ მდგარ) პირს მეფე ერქმევა, იმპერატორი, გენერალური მდივანი თუ...

არადა, ეჭვი კი ნალდად შეგეპარება კაცს: რატომ გადმოსტენენ ავტორები პეტრემდელი რუსეთის ისტორიას? იმიტომ ხომ არა, რომ თავიანთი „თეორიების“ სამტკიცებლად ისტორიის ჯიუტი ფაქტები ხელს არ აძლევდათ?

მე ისტორიკოსი არ გახლავართ, მაგრამ სჯირდება კი ისტორიკოსობა იმის ცოდნას, რაც ყველ ჩვენგანს კარგად ახსოვს ჯერ კიდევ საშუალო სკოლის იმ გაბერილი სახელმძღვანელოებიდან, „სსრკ ისტორია“ რომ ეწოდება ცინიკურად და თავიდან ბოლომდე რუსეთის ისტორიას რომ წარმოადგენს?

განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ რუსეთის იმპერია, იმპერიისათვის დამახასიათებელი ყველა კლასიკური ატრიბუტით, პეტრემდე ბევრად ადრე ჩამოყალიბდა? მარტო ერმაკის ლაშქრობათა გახსენება რად ღირს!

ჰოდა, რაკი ასეა, მოდით, გავიხსენოთ „ჩვენი“ ავტორებისაგან ეგზომ უსამართლოდ „დავიწყებული“ ერმაკ ტიმოფეევიჩი!

გავიხსენოთ, რომ ისტორიისათვის არცთუ ისე შორეულ წარსულში იყო დრო, როცა ურალს იქეთ რუსეთი არ არსებობდა. ციმბირში ერმაკი (გარდ. 1585 წ.), კაზაკთა მამაცი ატამანი, თავისი „რაზმით“ პირველად რუსმა ვაჭრებმა და მრეწველებმა, ანუ ციმბირის პირველმა რუსმა კოლონიზატორებმა, სტროგანოვებმა, მიიწვიეს. ამ ლაშქრობით, რომელიც შემდგომში არაერთგზის განმეორდა, დაიწყო ციმბირის შემოერთება რუსეთთან და მისი ათვისება. ისიც ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ციმბირის მკვიდრი ეროვნული ფაქტი ძალზე ჯიუტი რომ გახლავთ და სტატიის ავტორებიც, მეტი რა ჩარაა, ერთიორჯერ მორცხვად აღიარებენ, რა ეუყოთ ახლო, ცარიზმი მაინც ცარიზმიაო, ხდებოდა ზოგჯერ ისეც, რომ „...სხვადასხვა ტერიტორიის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის ისტორიულ პერიოდებში არც უიმისობა იყო, რომ სამეფო რუსული იარაღი არ ჩარეულიყო“. და მაგალითებსაც ასახელებენ: პეტრე პირველის შვედებთან გამორკვევის შედეგად ბალტიისპირა ქვეყნების შემოერთებას, კარელიისა და ვიბორგის ჩათვლით, აგრეთვე თითქმის „საუკუნოვან ომს“ დაღესტანთან, „თეთრ გენერალ“ სკობელევის ლაშქრობას თურქესტანზე, ყირიმის შემოერთებას...

და აქ, ბატონ მუხრანის ერთი ლექსისა არ იყოს, გინდა ჰკითხო ავტორებს: „ესენი როა“? ესენი როაო, ისინი გვიხსნიან, — ეს მხოლოდ გამონაკლისები იყოო, (მეტისმეტად ბევრი გამონაკლისი ხომ არ არის, კარნონზომიერებაში გადასული?), ეს რა სათვალავში ჩასაგდებია, როცა რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიების ზრდა ძირითადად მაინც მეზობელი ქვეყნების ნებაყოფლობით შემოერთების შედეგად ხდებოდაო. მაგალითები გნებავთ? ინებეთ: მოლდავეთიო, საქართველოო, სომხეთიო, აზერბაიჯანიო, ყაზახეთიო, შუა აზიაო... ოღონდ, აქ უბრალო ჩამოთვლით აღარ კმაყოფილდებიან და პირდაპირ ცხვირ-პირში გვჩრიან ამის დამადასტურებელ საბუთებს, ისტორიული დოკუმენტების ფოტოპირებისა და ამ დოკუმენტებიდან ამოკრეფილი ციტატების სახით, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, ყბადაღებული გეორგიევსკის ტრაქტატიც უხვადაა ციტირებული. თუმცა, მოგეხსენებათ, ციტირებაცაა და ციტირებაც...

სწორედ ამ თვალთმაქცობის შედეგადაა, რომ ხსენებულ სახელმწიფოთა ხელისუფალნი, ყველა აქ მოტანილი ციტატის მიხედვით, უთავმოყვარეო, თვალცრემლიანი, მუხლზე დამხობილი და მუდარით აყლაგამოწეული მთხოვნელების როლში წარმოგვდგებიან, რომლებიც, ოღონდაც რუსთ ხელმწიფეს მფარველობისა და დახმარების დაპირება გამოსტყუონ, ღა. ყოველგვარი წინაპირობისა და რაიმე მოთხოვნის წაყენების გარეშე, მზად არიან უარი თქვან ყველა საკუთარ ხელმწიფურ ღირსება-უფლებაზე, თავზე ნაცარი წაიყარონ და თავი პროტექტორ-მფარველის ყურმოჭრილ მონად გამოაცხადონ.

სხვებთან ერთად, რაღა თქმა უნდა, ასეთად წარმოგვიდგება ერეკლეც. რაც შეეხება თავად რუსეთის ხელმწიფეს, „თავის მხრივ, რუსეთი ღებულობდა ვალდებულებას, საქართველოს სამეფოთა ხალხები იმპერიასთან მჭიდრო კავშირში და სრულ თანხმობაში ყოლოდა და, აქედან გამომდინარე, მათი მტრები საკუთარ მტრებად ეცნო...“.

გინდა უთხრა სტატის ავტორების მიერ გაბრიყვებულ ზოგ მკითხველს: დაწყნარდი ძვირფასო, მთლად მასე როდია საქმე! ქართველი კაცი არასოდეს არაფვერს ივიწყებს! ჯერ ერთი, ეგ კიდევ საკითხავია, ვინ ვის არჩენდა და, მეორეც, თუ თქვენი ავტორები ბოლომდე მართალნი და ობიექტურნი დარჩებოდნენ, მაშინ მათ ზოგი რამ კიდევ უნდა ეთქვათ შენთვის. თუნდაც ის, თუ როგორ აღასრულა რუსეთმა საქართველოს მიმართ ტრაქტატით გათვალისწინებული ესა და სხვა პირობები, საყოველთაოდ კარგადაა ცნობილი. ეს, ცხადია, სტატიის ავტორებმაც შეენიშნავდ უწყიან, მაგრამ იხტიბარს არ იტეხენ და, რაკი აიჩემეს, ბოლომდე ცდილობენ შაგის თეთრად წარმოჩენას. „შეეეხოთ კიდევ ერთ ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა ეროვნული კულტურის ტრადიციული ფორმებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების შენარჩუნება-გაფრთხილება რუსეთის შემადგენლობაში შესვლის დროს. მაგალითი უდავოდ დადებითია: ფინეთის დიდი სამთავრო მისი უფართოესი ავტონომიით, რომელიც გულისხმობდა საკუთარ სეიმს, დრუშას, გერბს, არმიას, ფულის სისტემას და ა. შ....“

კი, ბატონო, მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, თუ რა მოქნილი და მეთოდური პოლიტიკურ-დიპლომატიური ბრძოლის ფასად მიაღწია ფინეთმა ყოველივე ამას. ხომ ცნობილია, რომ რუსეთის მხრივ ეს იყო იძულებითი დთმობები ფინეთის მიმართ, როგორც ადრე, ისე, — განსაკუთრებით, — ლენინის დროს.

მაგრამ სხვა მაგალითი? — სხვა მაგალითი ავტორებს არ გააჩნიათ! იგულისხმება, რომ ფინეთის მაგალითი მკითხველმა სხვა შემოერთებულ სახელმწიფოებზეც, მათ შორის, საქართველოზეც, უნდა განზოგადოს. ცნობილი ზრაკია: იმის დასამტკიცებლად, რომ კოლმეურნეობა საზოგადოდ კარგი რამ არის, ავტორებს საჩვენებელ კოლმეურნეობაში მივყავართ და ამაყად გვიჩვენებენ „რეკორდსმენ ფურს“...

სხვათა შორის, ისე მეჩვენება, რომ სტატიის ავტორები რუსეთის ცარისტული იმპერიის ეპოქით არ დაკმაყოფილდებიან და მალე საბჭოური ეპოქის ისტორიოგრაფიაშიც შეეცდებიან წესრიგის დამყარებას, თორემ რაღაც ნამეტანი მოზშირდა ამ ბოლო დროს „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ბურჯის“ იმპერიად მოხსენიება! ოღონდ, ნუ გაგვიკვირდება, თუ „ძველი სტერეოტიპების“ მსხვრევის ჟინით შეპყრობილი ჩვენი ავტორები ამჯერად საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული სტერეოტიპების თავგამოდებულ დამცველებად მოგვევლინებიან და არანაკლები წარმატებით დაგვიმტკიცებენ, რომ სსრ კავშირი ნებაყოფლობით გაერთიანებულ ერთა ძმური კავშირია და არამც და არამც — იმპერია! ხოლო, თუ ვეტყვით, ნებაყოფლობის, ანუ ხალხთა თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი ფარატინა ქაღალდად გიჩია და მისი „საქმენი საგმირონი“ კი სულ სხვა რამეზე მეტყველებენო, ავტორები, ალბათ, ისევ იმ „საჰვენებელ კოლმეურნეობაში“ წაგვიძღვებიან!

თუმცა, რად გინდა, რამდენიც გინდა უმტკიცო, ხტატიის ავტორები მაინც თავისას გაიძახიან: არაკეთილი რუსეთის იმპერია და მასში შემავალი კოლონიები არ არსებულა არც ადრე, რევოლუციამდე, და, მით უფრო, — არც ახლაო! ეს მოძველებული სტერეოტიპია, ეს ჭორი და ცილისწამებაა! მოუმარჯვებიათ ს